# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 13 მაისი 2003 №85 (1856) ფასი 50 თეთრი


# დინამოს უჰარმონიო დოლები და ლოკომოტივის გოლები



ბადრი კეთილაძის ფოტო

ჩემპიონატის ბოლომდე ჯერ კიდევ ბევრი დოლი დაიხევა



მურაზ დოლიძეშვილის ფოტო

ლოკომოტიველი დავით სირაძის დარტყმას ბოლნისელი ზურაბ ბათიაშვილი მაგრად ვერ დაუხვდა

# №1 ჰალაძის ქართული შანსი

ამბობენ, შემთხვევით არაფერი ხდებაო და არც წინა უქმეებზე მომხდარი ამბები იყო შემთხვევითი. იმას მოგახსენებთ, რომ „მილანი" დამარცხდა, „ინტერმა", „იუვენტუსმა" და „რეალმა" კი ფრედ ითამაშეს. თანაც ოთხივეს მეტოქეები საშუალო გუნდობასაც ვერ სწვდებიან.

სხვა დროს ამ ბობოლათა ერთდროულად ვერმოგებაზე ევებ საგანგებო ხმაურიც ამტყდარიყო, მაგრამ არა ახლა, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალების წინ.

ოთხივემ ძალა დაზოგა, ოთხივემ სათადარიგონი ათამაშა და რა გასაკვირია, რომ ეგრე იყო, ოთხივეს ხომ ლიგის ფინალში გასვლის თითქმის თანაბარი შანსი აქვთ.

ამ ოთხეულიდან წინა უქმეებზე ძალის დაზოგვამ ყველაზე მეტად „რეალი" აზარალა, ესპანურ პრიმერადივიზიონში ლიდერობა დაკარგვინა. „იუვენტუსს" კი არაფერი დაუკარგავს. დაუკარგავს კი არა, სკუდეტო მოიგო. „იუვენტუსი" და „რეალი" ხვალ ხვდებიან ტურინში, დღეს კი „სან სიროზე" 255-ე მილანური დერბია.

მერამდენეც გინდა იყოს — აგერ პაოლო მალდინი, „მილანის" კაპიტანი, მილანურ დერბებში ორი ათეული წელია თამაშობს, ნახევარფინალებიც მოუგია, ფინალებიც და მაინც აღიარებს, ვიცი, რომ ნერვიულობა მავნებს, მაგრამ ვერ ვმშვიდდები, ასეთი თამაშების წინ სრულიად განსაკუთრებული შეგრძნება მეუფლებაო.

მალდინის შეგრძნებისა რა მოგახსენოთ და, „მილანის" გამარჯვება ჩვენთვისაც სასიამოვნო უნდა იყოს — ჩემპონთა თასს ლამის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს და მის ფინალში აქამდე არც ერთ ქართველს არ უთამაშია. შესაძლოა, კახა კალაძე დღეს პირველი ქართველი გახდეს.

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 7 ტური

## I–VI ადგილები



ამ ჯერზე ბოლნისელები გოლს კი გადაურჩნენ, მაგრამ მერე „სიონმა“ ერთბაშად ოთხი გაუშვა

# ხომ ხედავთ!

## ცაკარიასიც ტიტულზე ლაპარაკობს

თბილისი. 11 მაისი. 18 საათი. ლოკომოტივი. 300 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 4:0 სიონი

1:0 სირაძე (15), 2:0 სალასარი (45), 3:0 ნანა (58), 4:0 ლომაია (87)

| ლოკომოტივი | სიონი |
|---|---|
| ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე, რ. ონიანი, მ. ბურნაძე, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, სალასარი (გოგინაშვილი 81), სირაძე (კაიდარაშვილი 84), ნანა (რუსია73) | სიონი: ბათიაშვილი, სვანიძე, ა. ბურნაძე, ხუჯაძე, ბაქრაძე, ფანჩულიძე (მიქელაძე 90), დათუშვილი, გაბისკირია, შავგულიძე (სვანიძე 70), დათვაძე, წივწივაძე (გოგიტაძე 63) |
| სათადარიგონი: იგარდავა; ძამსაშვილი, კობახიძე, ძოძუაშვილი | სათადარიგო: ვოლკოვი |
| მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი | მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილებები: ონიანი (6), ნანა (16), სვანიძე (29), ბურნაძე (61)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე; დირექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 28-27; კუთხური: 4-2; კარისკენ დარტყმა: 8-3; კარში დარტყმა: 6-5; თამაშგარე: 7-0

გიორგი ვაშაკიძე

**ერთობ** მონდომებულმა „ლოკომოტივმა“, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით მოუგო თასის ფინალისტს. ლუის ცაკარიასის შეგირდებს ყველაფერი გამოსდიოდათ, თემურ მახარაძის გუნდმა კი, ეტყობა, ქუთაისში დატოვა მთელი ძალა. აკი თქვა ნამატჩევს ბოლნისელთა მწვრთნელმა, „ტორპედოსთან“ თასის ნახევარფინალის მერე ძალების აღდგენა ვერ მოვახერხეთ და ფსიქოლოგიურადაც ჯეროვნად ვერ მოვემზადეთო. თუმც მახარაძეს თბილისელთა გამარჯვება არ დაუკნინებია, მეტოქემ აშკარად გვაჯობაო.

მოკლედ, მატჩი „ლოკომოტივმა“ ფხიანად დაიწყო. ლუის ცაკარიასმა 4-4-2 სისტემით ათამაშა შეგირდები, თავდასხმაში განელ ნანას ამპლუით ნახევარმცველი დავით სირაძე შეუწყვილა და არც შემცდარა, დათო ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ მოედანზე. ჩვენ სირაძე კი გამოვარჩიეთ, მაგრამ ცაკარიასმა ყველა ფეხბურთელს მადლობა უთხრა ჩინებული თამაშისთვის.

„სიონმა“ ორი დისკვალიფიცირებული მოისაკლისა — ირემაშვილს და ელდარ გვასალიას ყვითლები გაუწითლდათ. სტუმართა ეული ფორვარდის, ჰამლეტ წივწივაძის ამოკეტვა არ გასჭირვებიათ რკინიგზელ მცველებს. ბოლნისელთაგან ერთადერთი ჩია ნახევარმცველი დათვაძე თუ ცდილობდა მასპინძელთა შეწუხებას და ერთი-ორჯერ ააფორიაქა კიდეც ისინი. მთლიანობაში კი, გითხარით უკვე მატჩი „ლოკომოტივისა“ იყო და გამარჯვებაც ალალად ირგუნა.

პირველი გოლი სირაძემ გაიტანა მე-15 წუთზე: საჯარიმოში ნანას მიერ თავით დაგდებულ ბურთს უძლიერესი დარტყმა შეაგება.

მეორედ რკინიგზელებმა პირველი ტაიმის ბოლოს, დამატებულ წუთებში გაიხარეს — ბოლნისელი მცველები ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას შეცდნენ. შეტევა ლომაიამ დაიწყო, თავდამსხმელებისთვის ბურთი გამოზომილად რომ დაარტყა „სიონის“ ნახევარზე, ნანაც და სირაძეც უკან ამოდიოდნენ. ბურთს მცველი ბალაშვილი სიღრმიდან შეჰყვა, საჯარიმოში შესულმა სალასარი შენიშნა, დაგორებული ბურთის ცარიელ კარში შეგორება კი პერუელს არ გასჭირვებია.

მესამე გოლით კი ნანა ეშუანმა გაიხარა. რაიან სალასარმა სირაძეს გადააწოდა, დათომ „სიონის“ მცველებს საჯარიმოში „ჩაუცეკვა,“ გზად ბათიაშვილიც გააცურა და კარის წინ ნანას დაუგორა. ახმახმა შავკანიანმა დაუცველ კარში ცოტა უხერხულად კი დაარტყა, თუმც საგოლედ ეყო.

ეს იყო და, ცაკარიასმა სამივე შემცვლები გამოცვალა. 73-ე წუთზე შესულმა მამუკა რუსიამ მატჩის ბოლოსკენ პენალტი მოინაგრა, ანიაშვილმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ ხელი გაიშვირა და... მეტოქის საჯარიმოსკენ საქართველოს ეროვნული გუნდის მეკარე გიორგი ლომაია დაიძრა, მე დავარტყამო. ლომამ კოლეგა ბათიაშვილს მარცხენა ფეხით ბურთი შუაში დაურტყა და მშვენიერი, აუღებელი გოლიც გაუტანა.

ბოლოსკენ „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა თუ ხელმძღვანელთა ყურადღება „შევარდენის“ სტადიონზე იყო გადართული, „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ ფრე მათ წისქვილზე ასხამდა წყალს...

— მეორე ეტაპის პირველ წრეში „დინამოსთან“ 0:3 წაგებული მატჩის შემდეგ ჩვენი ჩემპიონობა ეჭვქვეშ დააყენეს. ახლა კი, როგორც ხედავთ, კვლავაც ტიტულისთვის ვიბრძვით — პრესკონფერენციაზე ლუის ცაკარიასი კარგ ხასიათზე გახლდათ. მან კოლეგის, თემურ მახარაძის მილოცვა რომ მიიღო, „სიონის“ მწვრთნელს თავად მიულოცა საქართველოს თასის ფინალში გასვლა, მერე კი თანამემამულე ექსლოკომოტიველი რაფაელ გალიარდოს ამბავიც გვამცნო: „რაფაელი ახლა უკეთაა, ფეხბურთის თამაშს შეეშვა და დროებით ერთ-ერთ ოფისში მუშაობს, ალბათ უფრო მწვრთნელობას დაიწყებს“.



რკინიგზელთა შავი ნანა მოედნიდან საკაცით გასატანი შეიქნა

ფოთი. 11 მაისი. 18 საათი. ფაზისი. 1 000 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 0:3 ტორპედო

0:1 იონანიძე (26) 0:2 კვეტენაძე (73) 0:3 იონანიძე (88)

| კოლხეთი | ტორპედო |
|---|---|
| კოლხეთი: ავ. ლაბაძე, ლონდაძე, ქუტიძე, გოროზია, ქობულაძე, გაბიდაური, დარსანია (ნ. ნარსია 76), ტულუში, ხაჟომია (მარგალიტაძე 64), კრასოვსკი (ქედია 85), გაგუა | ტორპედო: სტურუა, მახვილაძე, ხვადაგიანი, ლ. ჭელიძე, თოდუა, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე (ჭელიშვილი 90), გამეზარდაშვილი, პოროშინი, გ. ჩხეტიანი (ქუთათელაძე 68), იონანიძე (ცლენტი 89) |
| სათადარიგონი: ჩემია; ხურცილავა | სათადარიგონი: რევიშვილი; ახალკაცი |
| მწვრთნელი: სოსო ფილია | მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი |

გაფრთხილებები: გაგუა (51), ლაბაძე (54), პოროშინი (58), ქუტიძე (58), ჩხეტიანი (66)

მსაჯები: ს. კარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: ვ. ქორიძე

ჯარიმა 21-30; კუთხური 5-6; კარისკენ დარტყმა 5-3; კარში დარტყმა 2-7; თამაშგარე 2-9

# იონა გოოოოლ!

გოჩა ჟანაშია ფოთიდან



**კვირას** „ფაზისზე“ მოგების შემდეგ „ტორპედოს“ გაჩემპიონების რეალური შანსი დაუბრუნდა. ალექსანდრ შტელინის ბიჭებს „დინამოს“ წაქცევის შემდეგ ისევ მიეცათ სტიმული და რა გასაკვირი იყო, უმოტივაციო „კოლხეთიც“ ბეჭებზე რომ გააკრეს.

მშვენიერ ფორმაშია ჩემპიონატის მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძე. „ეროვნულზე“ ხომ ორი გოლით გაამწარა ივო შუშაკის გუნდი და ფოთშიც ამდენივე გაიტანა. თანაც ერთი-მეორეზე უკეთესი და მესამე გოლშიც ლომის წილი დაიდო.

იონანიძეს კი გააქვს და გააქვს, მაგრამ „კოლხეთისაც“ ვთქვათ. რაც საექვსეულო ეტაპი დაიწყო, კოლხებმა შვიდ მატჩში ერთი გოლი რაღაა და ისიც ვერ გაუტანიათ. ასეთი უნაყოფო სერია, ვეჭვობ, „კოლხეთს“ ახსოვდეს.

გუშინწინდელ მატჩს ძველი, ქუთაისური პაექრობის კვალიც აჩნდა. მაშინ ახალგალიდერებულ „ტორპედოს“ კოლხებმა მოულოდნელად მძაფრი ბრძოლა გაუმართეს და ქულაც დასცინცლეს. ჰოდა, მაშინ დაკარგული პირველი ადგილი იმერლებს ჯერაც არ დაუბრუნებიათ.

ერთგვარი რევანშის სურვილი სტუმრებს საწყის 25 წუთში დიდად არ დასტყობიათ. არც „ფაზისის“ ბინადარნი იყვნენ თამაშის იშტაზე და ეს დრო ისე გაილია, ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

თუმც, ის იყო, დადგა 26-ე წუთი და თამაშიც აქედან დაიწყო, ისევე, როგორც იონანიძის მორიგი ბენეფისი. ერთ-ერთი რიგითი შეტევისას ზურაბმა პოროშინის პასი მოიხელთა, ლონდაძეს ბურთი თავზე გადაუგდო და საჯარიმოს წინა ხაზის მარცხენა კიდესთან მყოფმა მიწაზე დაუშვებლად ყუმბარასავით გაისროლა. ლაბაძე ახლო კუთხეში დარტყმულს კი დაუხვდა, მაგრამ ბურთის მოგერიება თუ დაჭერა გაშლილი ხელებით სცადა და დარტყმულის ძალამ შეცდომა დააშვებინა.

ეს იყო და იონანიძე დასაბმელი შეიქნა. გატანილი გოლიდან ორიოდ წუთში ლონდაძის შეცდომის შემდეგ კინაღამ წინას ტყუპისცალი გაიტანა, ხოლო სულ მალე ისევ მარცხნიდან, ოღონდ გაცილებით მახვილი კუთხიდან დაჰკრა ცაცია, მაგრამ ლაბაძემ თითის წვერებით შეძლო ბურთის კარსუკან გადაგდება.

საერთოდ, შესვენებამდე „ტორპედო“ მთლიანად დომინირებდა და კოლხთა ბედი, ანგარიში პირველივე ტაიმში რომ არ გაიზარდა. იონანიძის გარდა ჩინებული შანსი ლაშა ჭელიძესაც მიეცა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი მცველს ოდნავ შეეხო და ამანაც იკმარა „კოლხეთის“ გადასარჩენად.

შესვენებაზე, ეტყობა, სოსო ფილიამ შეგირდებს დაუცაცხანა და მეორე ტაიმში გაცილებით აგრესიული „კოლხეთი“ ვიხილეთ. თამაშიც სასეირო გახდა. საკმაოდ ხისტი ორთაბრძოლების შემხედვარე სერგო კვარაცხელიასაც საქმე გამოუჩნდა და ოც წუთში ხუთჯერ მოუხდა ფეხბურთელთა გაფრთხილება.

„ტორპედო“ მასპინძელთა გამოხდომებს უნარიანად იგერიებდა და წინ იონანიძის იმედზე იყო, რომელიც კვლავ აწიოკებდა კოლხ მცველებს და მთელ მარცხენა ფრთას ბატონ-პატრონობდა. მეორე გოლიც აქედან დაიწყო, როცა იონამ მეურვე ლამაზი ფინტით ჩამოიშორა, საჯარიმოში შეიჭრა და პენალტის ნიშნულთან კვეტენაძე მონახა. ამან მცველთან ჭიდილში მოახერხა ბურთისათვის ჭვინტის წარტყმა და გატანა.

ამასობაში ფილიამ ახალბედები შეუშვა მოედანზე და ნოშრევან ნარსიას ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა. ჯერ შანსი მიეცა და ბურთზე პირველივე შეხება ვერ გარდასახა გოლად, მეორედ კი მარგალიტაძის წამოწყებული კომბინაციისას სტურუამ ვარდნაში კი დაასწრო გაგუას, მაგრამ იქვე გაჩენილმა ნარსიამ ცარიელ კარს საოცრად აცილა.

და მაინც, ეს ყველაფერი არარაობა იყო იონანიძის მეორე გოლთან. მარცხნიდან კვეტენაძემ კუთხური ჩააწოდა და ბურთი საჯარიმოს გარეთ მყოფი იონანიძისკენ მიმართა. ჩემპიონატის ბომბარდირმა არ დაახანა, ბურთს ჰაერშივე დაჰკრა მარჯვენა ფეხი და გაოგნებული ლაბაძის კარის მარჯვენა ცხრიანში „ჩაჭედა“. ეს გოლი იმდენად შთამბეჭდავი იყო, მთელი „ფაზისი“ ფეხზე წამოიჭრა და ოვაცია გაუმართა ქუთაისელთა ლიდერს. საკუთარი გუნდისგან გოლმოწყურებულ კოლხ ქომაგობას უკვე მეტოქის გატანილი უხარია, თანაც გოლსაც ხომ გააჩნია.

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა XXXII ტური

ალენი 4:3 მაინცი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXX ტური

დორტმუნდი (მ) 2:2 ჰამბურგი (მ)

## იტალია

სერია B. XXXIV ტური

ტერნანა 1:1 სამპდორია

## პორტუგალია

I ლიგა. XXXI ტური

სპორტინგი 1:1 ლეირია



ბადრი ქეთილაძის ფოტო

მეორე ტაიმში ვიტელი გიორგი ყიფიანის (№20) ამ საგოლე დარტყმას დინამოელი ალეკო ამისულაშვილი (შუაში) გადაეღობა

თბილისი. 11 მაისი. 18 საათი. მაყურებელი. 4 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 0:0 დინამო

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კვახაძე (მარცვალაძე 65), კობიაშვილი, მუჯირი, გველესიანი (ე. მერებაშვილი 73), ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, დ. დოლიძე, ყიფიანი (ბოლქვაძე 65), ადამია, მელქაძე
*სათადარიგონი:* ჭურაძე; ლ. მერებაშვილი, დათუნაიშვილი, ფეიქრიშვილი
**მწვრთნელი:** ჟანი კარნევალი

**დინამო:** ზოიძე, კარლოსი (ახალაია 10), ხიზანიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე, ბურდული, ალექსიძე (ვაშაკიძე 90), დარასელია (კანდელაკი 75)
*სათადარიგონი:* გვარამაძე; სახვაძე, ბობოხიძე, ი. სამხარაძე
**მწვრთნელი:** იგო შუშაკი

**გაფრთხილება:** ანჩაბაძე (49), დარასელია (50), დილმელაშვილი (65)

**გაძევება:** ანჩაბაძე (70)

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** რ. შოთაძე

ჯარიმა: 16-23; კუთხური: 3-3; კარისკენ დარტყმა: 1-5; კარში დარტყმა: 3-3; თამაშგარე: 2-6

# ყველაზე ქართული საქმე: საქმის გარჩევა

კობა ინასარიძე

**მატჩის** ბოლო წუთი იყო, მოედანზე ერთი ამბავი რომ ატყდა: ათკაციანმა „დინამომ" კონტრშეტევა წამოიწყო, ცენტრში ბურთს ახალაია და კობიაშვილი ეცილებოდნენ, მასპინძელი დინამოელ თავდამსხმელს ჩამორჩა და კარისკენ გაქანებულს თვალიღა გააყოლა. ახალაია მერლანთან პირისპირ დარჩა, მასაც გასცდა და... არბიტრმა ჩასტვინა, თამაში შეჩერდა, მესხმა ახალაია კობიაშვილთან ბრძოლისას დააჯარიმა, ჟესტით აჩვენა, მცველს ფორვარდის იდაყვი მოხვდაო. და დაიწყო საქმის გარჩევა. ქომაგთა ნახევარი ერთს ამბობდა, ნახევარი — მეორეს. აქეთ „დინამოს" ფანობა შეახტა მოედნის დამცავ მესერს, იქით დინამოელი ფეხბურთელები მისცვივდნენ მესხს და გადაწყვეტილება გაუპროტესტეს. „ვიტ ჯორჯიამ" კი საჯარიმო გაითამაშა, „დინამომ" ბურთი მოიგერია და მატჩი დამთავრდა. დავაკამათის მეორე რაუნდიც მაშინ დაიწყო, წუთის წინანდელთან შედარებით უფრო მწვავე. საბოლოოდ, მსაჯები მოედანს გაარიდეს, მათ რამდენიმე წუთი გალმა იყურყუტეს, ამასობაში კი აღშფოთებულნიც დამშვიდდნენ...

საკვირაო მატჩი ორივე გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. „ვიტ ჯორჯიას", რომლის მიზანიც წლეულს უეფას თასზე მონაწილეობაა, ახლა ჩემპიონობის შანსიც აქვს. „დინამოს" დამარცხებით ხომ, კარნევალის თქმით, ორ კურდღელს დაიჭერდა — ინაღდებდა ევროპულ საგზურს და უახლოვდებოდა ჩემპიონობას. „დინამოს" კი, არ ახალია, ჩემპიონობის გარდა არაფრის გაგონება არ სურს. მოკლედ, ეს შეხვედრა კარგი, დაძაბული ჯახი გამოდგა, თუმც ვერ ვიტყვით, სანახაობრივი თვალსაზრისით გამორჩეული იყოო.

„ვიტ ჯორჯიამ" თამაში შედარებით ფრთხილად დაიწყო. მასპინძლები უტევდნენ და არც უტევდნენ. კარნევალის აქცენტი შუა ხაზზე ჰქონდა და თუ შესვენებამდე „ვიტ ჯორჯია" თავსაც უშეცდომოდ იცავდა და ერთი-ორჯერ სტუმარს საკმაოდ სახიფათოდ დაემუქრა, ეს უპირველესად ჰავბეკთა სწრაფი და გონივრული თამაშის დამსახურება იყო. დაქროდა გველესიანი და ამწვავებდა დოლიძე, დილმელაშვილი და ნოზაძე ცენტრში იბრძოდნენ, შედეგად კი „ვიტ ჯორჯიამ" მეტოქის დაშლილი შუა ხაზი მიიღო, რითაც „გამოირჩევა" ხოლმე „დინამო".

მასპინძლებმა თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე ისეთი მომენტი შექმნეს, ცოტა იღბალი რომ დაჰყოლოდათ, გაიტანდნენ კიდეც: ჯერ მარცხნიდან მელქაძის, მერე კი მარჯვნიდან კვახაძის შეტევას დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ადამიას შეუჩერებლად დარტყმა მოჰყვა, მაგრამ ბურთი ზოიძისთვის დამიზნებული გამოდგა, მეკარემ მოიგერია და დამატებული არავინ გამოჩნდა.

შესვენებამდე მოედანზე პოზიციური ბრძოლა მიმდინარეობდა. „ვიტ ჯორჯია" უფრო შეკრული ჩანდა და „დინამოს" კარის სიახლოვეს არ აკარებდა. მერე სტუმრებმა ტემპს უმატეს, შუა ხაზიც გააქტიურეს და თამაშმაც უმეტესწილად მასპინძლთა ნახევარზე გადაინაცვლა. თუმც ხიფათი ისევ „დინამოს" კართან შეიქმნა: ადამია-ყიფიანის შეტევა გოლით უნდა დამთავრებულიყო, ყიფიანის დარტყმულ ბურთს კი ცარიელი კარის წინ ამისულაშვილმა ფეხი დაუხვედრა და მოიგერია. აქედან მოყოლებული 70-ე წუთამდე მასპინძლები დინამოელებს რეალურად აღარ დამუქრებიან, თამაში კი აშკარად სტუმრებისა გახდა. შუშაკმა მარჯვენა ფლანგი გააქტიურა, მატჩის დასაწყისშივე დაშავებული კარლოსის ნაცვლად მოთამაშე ახალაიას და შემტევ ბურდულს ადგილები გაუცვალა. „ვიტ ჯორჯიას" გამოტანილი ბურთი ცენტრთან ისევ „დინამოს" რჩებოდა, ალექსიძის მისამართით იყო გრძელი პასებიც, მაგრამ, რაც მთავარია, არ იყო გოლი, რეალური საგოლე მომენტი კი მერლანის კართან ერთხელ შეიქმნა — ბურდულის ახლოდან დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

მერე მეორე გაფრთხილება ანუ წითელი ბარათი დაიმსახურა ანჩაბაძემ და „დინამოც" კაცნაკლული დარჩა. კარნევალიმ მელქაძესა და ადამიას მესამე თავდამსხმელი, მერებაშვილი შეჰმატა. დარჩენილი დროც „ვიტ ჯორჯიამ" მეტოქის კართან გაატარა. „დინამო" კონტრშეტევების იმედზე იყო, მაგრამ ალექსიძეს პარტნიორები ლოგიკურად ვერ ეხმარებოდნენ. სტუმრები კი თავს უშეცდომოდ იცავდნენ.

სულ ბოლოს კი კობიაშვილ-ახალაიას ნახსენები ეპიზოდი იყო...



ბადრი ქეთილაძის ფოტო

თამაშის შემდეგ მსაჯ კახა მესხს პოლიციამ უპატრონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 2 | 1 | 7:3 | 39 |
| დინამო | 7 | 3 | 2 | 2 | 8:5 | 39 |
| ლოკომოტივი | 7 | 4 | 0 | 3 | 14:6 | 37 |
| ტორპედო | 7 | 3 | 2 | 2 | 7:3 | 37 |
| სიონი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:10 | 22 |
| კოლხეთი | 7 | 0 | 3 | 4 | 0:14 | 18 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 21 - იონანიძე | *ტორპედო* |
| 19 - მელქაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 14 - დარასელია | *დინამო* |



ბადრი ქეთილაძის ფოტო

„დინამოს" ბრაზილიელი კარლოსი ათ წუთში დაშავდა და გასახდელს ყინულით მიაშურა

# VII–XII ადგილები

# ასლანი ასლანივით განრისხდა

## ბათუმს გზა და ტვინი აერია

ქველი ანაგა. 10 მაისი. 18 საათი. ცენტრალური. 1 000 (ტევადობა 1 000)

### მილანი 1:0 ბათუმი

1:0 მედოევი (37პ)

**მილანი:** მამალაძე, ბოჭორიშვილი, ლამბაშიძე, აკობია, მეტონიძე, ბარამიძე, გ. ჩხაიძე, ბაჟელიძე, ლულუნაძე (ეგაძე 71), მედოევი, გოდერძიშვილი
*სათადარიგონი:* გიორბელიძე, ხაჩიძე, ეცადეიშვილი, გიორგაძე
**მწვრთნელი:** ზურაბ ბოჭორიშვილი

**ბათუმი:** ქვაჩახია, მახარაძე, გურეშიძე, გუშარაშვილი, დუმბაძე, კობიძე (ფირცხალაიშვილი 28), თედორაძე, ქაცარავა, დარჩიძე (სეფერთელაძე 79), რომანაძე (ბეჟანიძე 80), მოდებაძე
*სათადარიგონი:* შერიფაძე, იალამიდი, ცინარიძე, ფურცხვანიძე
**მწვრთნელი:** ასლან ბალაძე

**გაფრთხილება:** დარჩიძე (37), აკობია (39), რომანაძე (40), ბოჭორიშვილი (59), მედოევი (89)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; კ. თბილელი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. ახკაროლი (ქარელი);

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე; **დირექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

ჯარიმა: 15-18; კუთხური: 3-3; კარისკენ დარტყმა: 4-2; კარში დარტყმა: 5-5; თამაშგარე: 6-6

**პაატა კვანტალიანი** ქველი ანაგიდან

**საზეიმო** განწყობით დახვდნენ ქიზიყში გზააბნეულ „ბათუმს". ზღვისპირელებმა კითხვა-კითხვით ძლივს მიაგნეს ძველანაგურ განახლებულ სარბიელს.

„მილანს" უკან დარჩა გურჯაანული ტალახის ზელა. ხელშეუვლებელი ქიზიყური მოედანი ბევრად ჯობს გურჯაანულ გრუნტშელახულ საბურთაო ალაგს. მილანელებს საპატიო სტუმართათვის ლოჟა ალუმართავთ, ტრიბუნებზე დასაჯდომი ადგილებიც ჩაუმატებიათ, სათადარიგოთა ალაგიც მოუწყვიათ, ძველანაგურ სტადიონზე უკვე ტაბლოთიც იწონებენ თავს.

ხვნა-თესვიდან მობრუნებული ხალხი სტადიონმა ძლივს დაიტია. მატჩის დაწყების წინ ბავშვებმა იასამანი ჩამოურიგეს ფეხბურთელებს.

ფეხბურთის მონატრებულ ქიზიყელ ქომაგთა ყიჟინამ ვერაფერი დააკლო სტუმარს. „ბათუმმა" რიხით დაიწყო და დებიუტში რამდენჯერმე შეეძლო გუნდს ლაწინაურება. ჯერ რომანაძის გამოზომილი პასი ვერ შეირგო მოდებაძემ, მე-7 წუთზე კი მოდებაძესვე ეფექტური „მაკრატელა" გაუცუდდა. ორ წუთში დარჩიძემ ქაცარავა გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ სტუმარს გადამწყვეტი დარტყმა ვერ გამოუვიდა. მთლიანობაში „ბათუმი" ფიზიკურად უკეთ გამოიყურებოდა, საგოლე მომენტებიც გაცილებით მრავლად შექმნა მეტოქის კართან, მაგრამ ეს უპირატესობა შედეგად ვერ გარდასახა. „ბათუმის" მარცხში თავად „ბათუმი" იყო დამნაშავე.

მედოევის 11-მეტრიან გოლამდე სტუმრებს ერთი-ორჯერაც შეეძლოთ გატანა. მერე კი ცნობილი საფეხბურთო კანონი ამოქმედდა და მეტოქის საჯარიმოში მედოევის ღონიერი ტრიალი ბათუმელი მცველების შეცდომით დამთავრდა. „პანკისის ლომმა" უნაკლოდ შეასრულა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი — 1:0.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს. „მილანმა" ძალა მოიკრიბა და ძალუმადაც გაიწია ქვაჩახიას კარისკენ. მიუხედავად შემტევ დავით გოდერძიშვილის უხასიათობისა, მასპინძლებმა რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ გუშარაშვილს და ქვაჩახიას ვერაფერი მოუხერხეს. 65-ე წუთისთვის კი ქიზიყელებს დაღლა დაეტყოთ და ზღვისპირელებს კონტრშეტევებზე არაერთხელ ჰქონდათ გათანაბრების შანსი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში უნიათოდ ირჯებოდნენ და მამალაძემაც მშრალად შეინახა კარი.

ნამატჩევს ნირწამხდარი და განრისხებული იყო *ასლან ბალაძე*:

„გთხოვთ, დაწეროთ, თუ დარჩიძემ ასე გააგრძელა, მოკვდება როგორც ფეხბურთელი. მას საქმისადმი არასერიოზული მიდგომა დაღუპავს. იგივეს ვიტყვი თედორაძეზე, ფირცხალაიშვილსა და მოდებაძეზე. ტვინი გაანძრიონ, თორემ მერე გვიან იქნება. საკვირველი არ არის, დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო და წაგებული დავრჩით?! არასდროს მითქვამს მსაჯებზე აუგი, მაგრამ დღეს საშინელება იყო. ფანიაშვილმა „მილანის" კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა".

გამარჯვების მიუხედავად, *ზურაბ ბოჭორიშვილიც* უხასიათოდ გახლდათ — შაბათს „მილანის" კონკურენტმა „გორდამაც" გაიმარჯვა და დარჩენილ სამ ტურში ქიზიყელებს მცირე შანსიღა რჩებათ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.



ნამატჩევს ბათუმელთა თავკაც ასლან ბალაძეს (მარცხნივ) შეგირდებიც შემოელანძღა და მსაჯებზეც აუგი წამოსცდა

რუსთავი. 10 მაისი. 18 საათი. ფოლადი. 1 500 (ტევადობა 12 000)

### გორდა 1:0 დილა

1:0 ლ. ალადაშვილი (53)

**გორდა:** ბედიაშვილი, არსოშვილი, ბერიძე, სილაგაძე, გ. ჩხაიძე, ზ. ლაბაძე (ზოხელი 46), ადეიშვილი (ბ. ნოზაძე 46), ზვ. ლაბაძე, ჯელაძე (სოხაძე 76), კ. ალადაშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ჯანიაშვილი, სოზაშვილი, პაპაშვილი, გაბრიჭიძე
**მწვრთნელი:** იასონ ალადაშვილი

**დილა:** გ. სომხიშვილი, გ. ჩიტაია, ლ. გოჩაშვილი, ოლგესაშვილი, ლომიძე, გილაური (მ. სომხიშვილი 64), სულთანიშვილი (ალ. ლაბაძე 83), ახალაძე, მორჩილაძე, რაზმაძე (საყვარელიძე 74), მუშკუდიანი
*სათადარიგონი:* სოლოღაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, მარლიშვილი, კ. ხანიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**გაფრთხილება:** არსოშვილი (60)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი);

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** დ. გოგია

ჯარიმა 21-30; კუთხური 5-6; კარისკენ დარტყმა 5-3; კარში დარტყმა 2-7; თამაშგარე 2-9

# დილა მშვიდობისა!

## ალადაშვილის ალადასტური

**კახა შალამბერიძე** რუსთავიდან

**საგაზაფხულო** ეტაპის პირველ წრეში „დილა" და „გორდა" უგოლო ფრით დაშორდნენ ერთმანეთს, თუმც იმ მატჩს გვარიანი სკანდალი მოჰყვა. რუსთაველ ზურაბ ლაბაძესა და გორელ გულშემატკივარს შორის შელაპარაკება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. მაშინ სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა ლაბაძეს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

შაბათის მატჩში ასეთი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით მეორე ტაიმის შუახანს ფეხბურთელებს შორის მომხდარ ხანმოკლე წაკინკლავებას.

მასპინძლებს მხოლოდ მოგებით შეეძლოთ უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი შეენარჩუნებინათ და საამისოდ თავიდანვე გაიწიეს მეტოქის კარისკენ. ქვედა ექვსეულის ლიდერი „დილა" კი მოდუნებული ჩანდა. აშკარაა, გორელებმა უკვე მიაღწიეს საამსეზონო მიზანს და ახლა მშვიდად ყოფნის უფლებას აძლევენ საკუთარ თავს.

პირველი სახიფათო მომენტი მე-13 წუთზე შეიქმნა. რუსთაველმა არმაზ ჯელაძემ მისივე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან ძელს გაარტყა ბურთი. პირველ ტაიმში მასპინძელთა მეცხრე ნომერს, ყველაზე გამორჩეულს მოედანზე, კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ სომხიშვილმა ივარგა და ძნელად მოსაგერიებელი ბურთები კუთხურზე გადააგდო.

გორელები ორჯერ დარჩნენ მეკარესთან პირისპირ. ჯერ მუშკუდიანმა ვერ იყოჩაღა, მერე მორჩილაძეს აუხტა ბურთი ოკრო-ბოკრო საფარზე და დარტყმა გაუცუდდა.

თამაში რუსთაველებმა უფრო ფხიზლად განაახლეს და 53-ე წუთზე გოლიც გავიდა. ეტყობა, წინათგრძნობამ არ უღალატა ლაშა სილაგაძეს — გორელთა ნახევარზე დანიშნული საჯარიმოს შესრულება მისმა თანაგუნდელმა კახა ალადაშვილმა ითავა, სილაგაძემ კი თავი გაიგიჟა, სანამ საჯარიმოში მეც არ ჩავალ, მანამდე არ ჩააწოდოო.

ჰოდა, ჩავიდა, ჩაწოდებული ბურთი თავით სეხნია ალადაშვილს გადაუგდო და მანაც თავითვე გაიტანა მარჯვენა კუთხეში — 1:0.

ეს იყო და, „გორდამ" უკან დაიხია. მასპინძლებს შეცდომის უფლება აღარ ჰქონდათ. თავს მაინცდამაინც არც „დილა" იკლავდა. ზურაბ ხორგუაშვილის შეგირდებს მატჩის ბოლომდე სახიფათო მომენტიც არ შეუქმნიათ. ბოლო წუთებზე კი „გორდა" ორჯერ გადაურჩა გოლს. ჯერ მუშკუდიანმა ვერ დასაჯა ბედიაშვილი, რომელმაც ბურთის ხელში აღებას ნამეტანი დრო მოანდომა, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე კი გორელის თავური სამმა რუსთაველმა გამოიტანა ცარიელი კარიდან.

სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა. ანგარიშით უკმაყოფილო არც ერთი მხარე არ დარჩა. „გორდამ" კი შანსი შეინარჩუნა და ახლა დარჩენილი მატჩებისთვის ემზადება. პირველი გამოცდა რუსთაველებს მომავალ ტურში ბათუმში ელით.

# იმედი და სიღარიბე

თბილისი. 10 მაისი. 18 საათი. ისანი. 200 (ტევადობა 2 000)

### მერანი-ოლიმპი 6:0 მეტალურგი

1:0, 2:0 დავითაშვილი (12, 14), 3:0 აფციაური (22), 4:0 დავითაშვილი (26), 5:0 აფციაური (44), 6:0 ნინუა (47)

*ნინუამ ვერ გაიტანა პენალტი (47, მეკარე)*

**მერანი-ოლიმპი:** ნაჭყებია (გაბელია 46), ნადირაშვილი, ხარებავა, მიქიაშვილი, დავითაშვილი, გოგიჩაიშვილი (ნინუა 46), გ. ნუგ. ჭელიძე (ლოლაძე 46), ხოჯავა, აფციაური, სიდამონიძე, კიკაბეიშვილი
*სათადარიგო:* ელიავა
**მწვრთნელი:** ნიკოლოზ დოლიძე

**მეტალურგი:** ღვინიანიძე, ნახრაძე, მიქაბერიძე, გოგაძე (კაპანაძე 67), კვანტრიშვილი, მანჯავიძე, ე. მაღლაკელიძე, შველიძე (მ. ბოგვერაძე 38), ტუმბურიძე, გ. ბოგვერაძე (შუღლაძე 46), ნიშნიანიძე
*სათადარიგონი:* სხულუხია; ხარატიშვილი, ტუმბაძე
**მწვრთნელი:** დავით ნიქაბერიძე

**გაფრთხილება:** ხოჯავა (88)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. მალაღურაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი; **დირექტორი:** გ. ჟიშკარიანი

ჯარიმა: 9-10; კუთხური: 8-1; კარისკენ დარტყმა: 5-3; კარში დარტყმა: 11-0; თამაშგარე: 10-2

**მამუკა კვანტალიანი**

**შაბათს** ავლაბარში პერსპექტივა უიმედობას მასპინძლობდა და, რა თქმა უნდა, გამარჯვებულის გამოცნობა არავის გასჭირვებია.

ალბათ, ყველას მობეზრდა ზესტაფონელთა გასაჭირსა და პრობლემებზე საუბარი, რაშიც ყველაზე ნაკლებად ფეხბურთელები არიან დამნაშავენი. თამაშობდნენ ეს ბიჭები რეგიონულ ლიგაში, საუკეთესოები არ იყვნენ, მაგრამ დაცინვის უფლებასაც არავის აძლევდნენ. ერთ მშვენიერ დღესაც მავანნი ახუშტურდნენ და საფეხბურთო თვალსაზრისით ჯერაც ბარტყები „ჯოჯოხეთში" ჩააგდეს. ჰოდა, აგერ შედეგიც.

რა უნდა თქვა გუნდზე, რომელიც ექვსი უპასუხო ბურთით დამარცხდება, ისევ მეტოქეს უნდა უმადლოდეს, ანგარიში მთლად კატასტროფული რომ არ იყო, ხოლო გუნდში საუკეთესო ის მეკარეა, ექვსი გოლი რომ გაუშვა.

„მერანი-ოლიმპმა" მეტოქის რბევა თავიდანვე დაიწყო. შარშანდელი ჩემპიონატის მთავარმეგოლემ, სულიკო დავითაშვილმა სამი, აფციაურმა ორი და ნინუამ ნაირ-ნაირი გოლები გაიტანეს.

სტუმართა მეკარემ 47-ე წუთზე პენალტის მოგერიება კი შეძლო, ნინუას არცთუ ხეირიანად დარტყმული უკუაგდო, მაგრამ ზესტაფონელთა დაცვას ამ მომენტისასაც, ეძინა და ნინუამ დამატებაზე ღვინიანიძეს შანსი არ დაუტოვა.

მომდევნო ტურში „მეტალურგი" უკვე ოფიციალურად გაიფორმებს ლიგიდან გავარდნას. ასეთ ყოფას ზესტაფონელები რა ხანია, შეეგუვნენ. ნამატჩევს სინანულიც არ დასტყობიათ, ჩასხდნენ ავტობუსში, რომელსაც მძღოლები მთელი მატჩის განმავლობაში არემონტებდნენ და პირველი ლიგისკენ გაუტიეს.

„მერანი-ოლიმპი" კი შაბათსვე მომავალ მეტოქეზე ფიქრობდა. პატრონი, გამოცდილი ფეხბურთელები და კარგი პირობები უმაღლეს ლიგაში ადგილის გარანტიას იძლევა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 7 | 4 | 2 | 1 | 9:2 | 25 |
| მერანი-ოლიმპი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:3 | 23 |
| ბათუმი | 7 | 3 | 2 | 2 | 5:3 | 21 |
| გორდა | 7 | 3 | 3 | 1 | 6:2 | 19 |
| მილანი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:4 | 16 |
| მეტალურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 0:23 | 10 |

საქართველოს ჩემპიონატი 14 პირველი ლიგა მეორე წრე

# 26 ტური

**გურია 0:1 სამგურალი**

**სამტრედია 0:2 ივერია**

**ცხინვალი 2:0 ხობი**

**ჭაბუკთა ნაკრები 0:1 ლოკომოტივი 2**

**თსუ 0:2 მცხეთა**

**ლაზიკა 2:3 მერცხალი**

**ალაზანი 0:2 კობულეთი**

**სპარტაკი 1:0 დინამო 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 25 | 16 | 7 | 2 | 54:22 | 55 |
| მერცხალი | 26 | 16 | 7 | 3 | 52:22 | 55 |
| მცხეთა | 26 | 14 | 7 | 5 | 40:20 | 49 |
| ცხინვალი | 26 | 13 | 6 | 7 | 35:22 | 45 |
| სპარტაკი | 26 | 13 | 4 | 9 | 40:26 | 43 |
| სამგურალი | 26 | 12 | 7 | 7 | 34:24 | 43 |
| დინამო 2 | 24 | 11 | 5 | 8 | 32:24 | 38 |
| ქობულეთი | 26 | 11 | 5 | 10 | 19:22 | 38 |
| ივერია | 26 | 10 | 6 | 10 | 35:33 | 36 |
| ლოკომოტივი 2 | 26 | 9 | 9 | 8 | 27:22 | 36 |
| თსუ | 26 | 9 | 7 | 10 | 21:26 | 34 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 26 | 8 | 4 | 14 | 36:40 | 28 |
| გურია | 26 | 7 | 6 | 13 | 27:40 | 27 |
| ალაზანი | 25 | 4 | 5 | 16 | 26:61 | 17 |
| ხობი | 26 | 4 | 5 | 17 | 13:39 | 17 |
| სამტრედია | 26 | 3 | 2 | 21 | 23:71 | 11 |

# ფრაიბურგჰაუზენ!

## ქართული სადღეგრძელო ბუნდესშამპანურით

„ფრაიბურგმა“ სეზონისწინა სურვილი აისრულა და ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ბუნდესლიგა გაინაღდა. ცქიტიშვილ-იაშვილის ქართული წყვილით მოთამაშე ფრაიბურგელებმა შამპანური ბურგჰაუზენში გახსნეს. ლევან ცქიტიშვილის ორმა საგოლე პასმა დაწინაურებულ მასპინძლებს თამაში და ანგარიში ამოუტრიალა და ფოლკერ ფინკეს შეგირდებმაც 2:1 მოიგეს. ლევან კობიაშვილი კი ტრავმის გამო ვერ შეეშველა თავისიანებს.

ამგვარად, ერთწლიანი განშორების შემდეგ „ფრაიბურგმა“ კვლავაც შეაღო ელიტის კარი.

ბუნდესლიგის საგზურზე კიდევ ერთი „ქართული“ კლუბი ნადირობს. გიორგი დეკანოსიძის „ფიურტმა“ „ფრაიბურგის“ ბედის მოზიარე „კიოლნს“ შინ 2:0 აჯობა და მეოთხე ადგილზე წამოსკუპდა. დეკანოსიძეს არც ამჯერად უთამაშია.

თუ მოხდა და „ფიურტიც“ ალზევდა, მეორე ბუნდესლიგა ქართველის გარეშე ალბათ მაინც არ დარჩება. მიხეილ საჯაიას რეგიონალლიგელ „უნტერჰახინგს“ ერთი ნაბიჯიღა აკლია იქ მოხვედრამდე.

ჩვენებურთა წინსვლა თავისთავად სასიამოვნო ამბავია, თუმც ამ უქმეებს საპირისპირო შედეგებიც მოჰყვა. მაღალი ლიგებიდან ორი ქართველის გუნდი უკვე ოფიციალურად გავარდა, სულ მცირე ხუთიც დღე-დღეზე შეუერთდება მდაბალ საფეხბურთო სამყაროს.

უკვე გავარდნილთა შორის არიან გელა შეყილაძის „რუზელარე“ და მამუკა წერეთლის „ნეა სალამინა“. „რუზელარე“ საერთოდაც ბელგიის მესამე დივიზიონში ჩაეშვა. დარჩება თუ არა ამ გუნდში ერთ დროს საქართველოს ნაკრების მცველი, ჯერაც გაურკვეველია. მამუკა წერეთელი კი პირველ კვიპროსულ სეზონში მე-12 ადგილზე გავიდა, რამაც „სალამინა“ უძლიერესთა მარაქიდან მოკვეთა.

იმედაძე-დიდავა-ქემოკლიძე-ჯანაშიას „ქოჯაელისფორი“ და ირაკლი მოდებაძის „მეტალურგი“ კი სასწაულის იმედზეღა არიან. ამ გუნდებმა მორიგი მარცხი იწვნიეს და მალე დაადგებიან ყველასათვის არასასურველ გზას.

ავარდნილ-გავარდნილებზე წერას ამით მოვრჩეთ და ახლა უფრო მშვიდი და სერიოზული მიზნებისთვის მებრძოლ ქართველებზეც ვთქვათ.

ამ უქმეებზე ევროპაში შვიდი ქართული გოლი იხილეს. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი გიორგი დემეტრაძის დუბლი გამოდგა. დონეცკის „მეტალურგი“ უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის და „მეტალისტს“ სწორედ ჩვენებურის საუცხოო გარჯით აჯობა. ერთ-ერთი გამორჩეული იყო მოედანზე გოჩა ჯამარაულიც. ერთი სიტყვით, დონბასელებმა 3:2 იმარჯვეს „მეტალისტთან“ და საუეფასთასო მესამე ადგილიც შეინარჩუნეს.

შოთა არველაძის გოლი კი „რეინჯერსს“ პირველი ადგილის დაბრუნებაში შეეშველა. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ტყუპისცალმა მესამედ აიღო „კილმარნოკის“ კარი, რასაც უბერებელმა არგენტინელმა კლაუდიო კანიჯამ ერთიც დაუმატა და ახლა „ჩაფრები“ ბურთების უკეთესი შეფარდებით უსწრებენ მოქიშპე „სელტიკს“.

გოლებით გაიხარეს მუჯირებმაც. ტრავმამოშუშებული დავითის გატანილმა „შტურმს“ ვერ უშველა, ამირანის „მარეკმა“ კი 5:0 დაიბრიყვა „დობრუჯა“.

**კახა ზალამბერიძე**



ქართველების „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგას დაუბრუნდა

# PSV და გახოკიძე: კარგად იყავი!

*ჰოლანდიის პოტენციური ჩემპიონი პსვ ორ კვირაში ქართველ ნახევარმცველ გოგა გახოკიძეს კლუბიდან განთავისუფლების ფურცელს ჩააბარებს და მათ შორის ხუთწლიანი ურთიერთობაც საბოლოოდ დამთავრდება. გოგა გახოკიძეს, რომელიც რუსეთის ჩემპიონ ვლადიკავკაზის „ალანიადან“ ჰოლანდიურ გრანდში 1998 წელს 4 მილიონ დოლარად გაიყიდა, პსვ-სთან კონტრაქტი სწორედ ამ სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება. ვერ ვიტყვით, ჰოლანდიური ხუთი წელიწადი გოგასთვის წარმატებული იყო. ჩვენიანს ქვეყნის ჩემპიონის მედალიც ერგო, ლამაზი გოლებითაც გამოირჩა და ჩემპიონთა ლიგაშიც ითამაშა, თუმც მას სტაბილურობა აკლდა და უმეტესი წილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, ნახევარი სეზონი გოგა ისრაელში, თელ-ავივის „მაკაბიშიც“ იყო განათხოვრებული. პსვ-ში კარიერა მან ბობი რობსონის ხელმძღვანელობით დაიწყო, ერიკ გერეტსთან გააგრძელა და მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორ გუს ჰიდინკის შეგირდად ამთავრებს. 31 მაისს გოგა გახოკიძე პსვ-ს დაემშვიდობება.*

— ერთი სული მაქვს, აქაურობას როდის გავეცლები. ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა და მეც თავისუფალი ვიქნები — გვითხრა გოგა გახოკიძემ გუშინ, როცა ეინდჰოვენში დავუკავშირდით — ლეგიონერობით კი დაინტერესებული კლუბებიდან ველი წინადადებებს. აგენტი უკვე რა ხანია მუშაობს, რათა გუნდი გამოძებნოს და მიიღებს, უახლოეს დღეებში ტრანსფერიც შედგება, თბილისში ამ თვის ბოლოს მოვემგზავრები და თან, ალბათ, ახალ კონტრაქტსაც გამოვიყოლებ. ჩემს გარდა პსვ-დან სამი ფეხბურთელი თავისუფლდება. ევროპულ კლუბებს, როგორც შარშან ზაფხულში, ახლაც ფინანსური კრიზისი აქვთ და ახალი ფეხბურთელების აყვანას ერიდებიან. თავისუფალი ფეხბურთელები მრავლად არიან და საკმაოდ დიდი კონკურენციაა. ჯერჯერობით კი გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვვარჯიშობ, მაგრამ სარეზერვოებშიც კი არ ვთამაშობ. ძირითადში უთამაშებლობის მიზეზს არავინ არ მიხსნის. მეც მორჩილად ვზივარ სათადარიგოთა შორის და ახალი გუნდის წარმომადგენელთა სიტყვას წუთი წუთზე ველი.

**კობა ინასარიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **იტალია. სერია A** | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ბრეშა 0:1 | 51 | შეცვალეს | 26 | 0 | 3 |
| | | | **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბურგჰაუზენი 2:1 | 90 | | 22 | 2 | 2 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბურგჰაუზენი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 26 | 9 | 2 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ბურგჰაუზენი 2:1 | 90 | 2 საგოლე პასი | 28 | 2 | 2 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ბურგჰაუზენი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ფიურტი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | კიოლნი 2:0 | 0 | | 2 | 0 | 4 |
| | | | **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ფერლი 3:0 | 56 | შეცვალეს | 24 | 5 | 3 |
| | | | **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | |
| მიხეილ საჯაია | უნტერჰახინგი | ს | ზაარბრიუკენი 1:1 | 0 | | 12 | 1 | 1 |
| | | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | კილმარნოკი 4:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 25 | 14 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | დანფერმლაინი 2:2 | 90 | | 20 | 0 | 7 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | დანფერმლაინი 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 13 | 0 | 7 |
| | | | **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | შ | ექსელსიორი 7:0 | 0 | | 8 | 1 | 1 |
| | | | **ბელგია. მეორე დივიზიონი** | | | | | |
| გელა შეყილაძე | რუზელარე | შ | ვირტონი 1:1 | 52 | შეცვალეს | 23 | 0 | 17 |
| | | | **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | გრაცერი 1:2 | 29 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 24 | 6 | 5 |
| | | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი** | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | შ | ვადუცი 4:0 | 60 | შეცვალეს | 22 | 4 | 3 |
| | | | **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | |
| ლევან ხომერიკი | ვოლენი | შ | ბადენი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 6 | 3 | 3 |
| | | | **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | კრილია 0:3 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 13 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | შ | შინიკი 3:1 | 90 | | 3 | 0 | 12 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | შინიკი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| მიხეილ აშვეთია | სპარტაკ-ალანია | ს | ჩერნომორეცი 0:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 7 | 0 | 8 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | ს | ჩერნომორეცი 0:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 5 | 0 | 8 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ტორპედო 3:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 6 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ტორპედო 3:1 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 6 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | ტორპედო 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ჩერნომორეცი | შ | სპარტაკ-ალანია 3:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 9 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | რუბინი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | რუბინი 1:3 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 10 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | ს | როსტოვი 0:1 | 90 | | 7 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | შ | ტ. მეტალურგი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | ს | როტორი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 16 |
| | | | **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | შ | ვოლგარი 3:0 | 90 | | 5 | 0 | 7 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | ვოლგარი 3:0 | 75 | შეცვალეს | 8 | 0 | 7 |
| ზურაბ არჩვაძე | ლოკომოტივი ჩ. | ს | სკა ენერგია 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 0 | 9 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი ჩ. | ს | სკა ენერგია 1:0 | 21 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 3 | 9 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | ს | ვორონეჟი 0:1 | 90 | | 7 | 0 | 13 |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | შ | ურალი 2:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 5 | 0 | 4 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | შ | ურალი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| | | | **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | მეტალისტი 3:2 | 90 | | 16 | 3 | 3 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | მეტალისტი 3:2 | 90 | 2 გოლი, გააფრთხილეს | 9 | 6 | 3 |
| რევაზ გოცირიძე | კრივბასი | შ | შახტარი 0:1 | 0 | | 3 | 0 | 10 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | შ | შახტარი 0:1 | 90 | | 16 | 0 | 10 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | შ | შახტარი 0:1 | 90 | | 6 | 0 | 10 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ობოლონი 1:1 | 90 | 1 გოლი | 23 | 8 | 9 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | ობოლონი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 1 | 9 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | ობოლონი 1:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 13 | 0 | 9 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | ვორსკლა 0:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 2 | 16 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | ალექსანდრია 0:0 | 90 | | 23 | 13 | 4 |
| | | | **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | |
| გია იმედაძე | ქოჯაელი | ს | ფენერბაჰჩე 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 1 | 18 |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ფენერბაჰჩე 0:1 | 90 | | 12 | 0 | 18 |
| რევაზ ქემოკლიძე | ქოჯაელი | ს | ფენერბაჰჩე 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 0 | 18 |
| ზაზა ჯანაშია | ქოჯაელი | ს | ფენერბაჰჩე 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 0 | 18 |
| | | | **უნგრეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | დებრეცენი | ს | გიორი 0:0 | 0 | სათადარიგო | 15 | 1 | 4 |
| | | | **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | ს | ოსტროვეცი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 1 | 8 |
| ლაშა რეხვიაშვილი | რუხი | შ | გარბარნია 1:1 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 13 |
| | | | **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | დობრუჯა 5:0 | 90 | 1 გოლი | 20 | 8 | 9 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | შ | ლოკომოტივი 3:0 | ? | | ? | 0 | 12 |
| | | | **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აეკ 5:1 | 61 | შეცვალეს | 22 | 5 | 2 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | აპოელი 2:1 | 90 | | 18 | 2 | 5 |
| მამუკა წერეთელი | ნეა სალამინა | შ | ალკი 8:1 | 0 | | 20 | 0 | 12 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | ეთნიკოსი 0:3 | 90 | | 12 | 5 | 10 |
| | | | **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | ვენსტპილსი 2:1 | 0 | | 3 | 0 | 1 |
| თამაზ პერტია | არმა | ს | მეტალურგსი 0:8 | 90 | | 6 | 0 | 8 |
| | | | **ბელარუსი. თასის ნახევარფინალი** | | | | | |
| ზაზა კვეკვესკირი | ლოკომოტივი | შ | ბელშინა 3:0 | 0 | | | | |
| გიორგი ბერიანიძე | ლოკომოტივი | შ | ბელშინა 3:0 | 0 | | | | |
| | | | **მალტა. პრიმერადივიზიონი. პლეი აუტი** | | | | | |
| გრიგოლ გვაზავა | ფლორიანა | ს | მოსტა 3:0 | 72 | 1 გოლი, შეცვალეს | 18 | 6 | 2 |
| | | | **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | |
| ბახვა ამბიძე | ბატისი | ს | თარაზი 0:3 | 43 | შეცვალეს | 3 | 0 | 17 |
| პაატა გამცემლიძე | ბატისი | ს | თარაზი 0:3 | 67 | შეცვალეს | 3 | 0 | 17 |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | ს | თარაზი 0:3 | 90 | | 3 | 1 | 17 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*




ბირმინგემი — ვესტ ჰემი. ლონდონელი ჯო კოული პრემიერლიგიდან გაწბილეს

# ვესტ ჰემი მიდის, რათა დაბრუნდეს

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXVIII ტური

**ევერტონი 1:2 მანჩესტერი**

1:0 კემპბელი (8), 1:1 ბექემი (43), 1:2 ვან ნისტელროი (79პ)
ევერტონი: რ. რაიტი, ჰაიბერტი, იობო, სტაბსი, ანსუორთი, უოტსონი, კარსლი, გრაველსენი (ჩედვიკი 75), ნეისმიტი (პისტონე 83), რუნი, კ. კემპბელი (დ. ფერგიუსონი 40)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
მანჩესტერი: კეროლი, უესლი ბრაუნი (ფ. ნევილი 40), რ. ფერდინანდი, სილვესტრი, ოში (ბლანი 46), ბექემი, როი კინი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი (ფორჩუნი 78)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: გრაველსენი, ჰაიბერტი, რუნი, სტაბსი, ფერგიუსონი, ფერდინანდი, ბლანი, ნევილი
მსაჯი: რაილი
40 168 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:4 არსენალი**

0:1 ანრი (7), 0:2, 0:3, 0:4 ლიუნგბერგი (39, 78, 88)
სანდერლენდი: სორენსენი, გრეი, კრადოკი, ბიორკლუნდი, დ. უილიამსი (მაკკარტნი 46), ბლეკი (ოსტერი 46), ტორნტონი (რაიანი 46), გ. მაკკანი, კილბეინი, კაილი, ფილიპსი
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
არსენალი: სიმენი, კ. ტურე, ლუჟნი, სტეპანოვსი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, პარლოუ (ვან ბრონკჰორსტი 46), ჟილბერტო სილვა, პირესი (პენანტი 64), ანრი, ბერხკამპი (კანუ 75)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: მაკკანი
მსაჯი: დარკინი
40 188 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 2:2 ნიუკასლი**

0:1 ჯენასი (43), 1:1, 2:1 დობი (57, 72), 2:2 ვიანა (80)
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, სიგურდსონი, უოლვორკი, ჯ. ჩემბერსი (უდეზე 81), ლიტლი, მაკინსი, კუმასი, ე. ჯონსონი, კლემენტი, დ. ტეილორი (დობი 30), დიჩიო
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, კოლდუელი, ობრაიენი, ა. ჰიუზი, სოლანო (ამბროზი 76), დაიერი (კერი 90), ჯენასი, ვიანა, ამეობი, ლუა ლუა (ჩოპრა 82)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: ბარბერი
27 036 მაყურებელი

**ჩელსი 2:1 ლივერპული**

0:1 ჰიპია (11), 1:1 დესაი (14), 2:1 გრონკიაერი (27)
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, დესაი, ბაბაიარო, გრონკიაერი (სტანიჩი 68), ე. პეტი, ლამპარდი, ლე სო, ჰასელბაინკი (ჯ. კოული 80), გუდიონსენი (ძოლა 72)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ტრაორე, რიისე (შეირუ 75), დიუფი (ბერგერი 63), ჯერარდი, დენი მერფი, დიაო (ჰესკი 46), ოუენი, ბაროში
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: გალასი, ჰასელბაინკი, ლე სო, ჯერარდი
გაძევება: ჯერარდი (90)
მსაჯი: ვაილი
41 911 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:4 ბლეკბერნი**

0:1 იორკი (5), 0:2 ჰინეტი (45), 0:3 დაფი (48), 0:4 კოული (60)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, პერი, კინგი, ტარიკო (ციგე 61), ს. დევისი, პოიეტი, რედნაპი (ტოდა 69), ეზერინგტონი, შერინგემი, რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, ტოდი, მარტინ ტეილორი, მაკიველი (ნ. იოჰანსონი 63), ფლიტკროფტი (დ. დანი 46), ჰინეტი (იანსენი 76), თუგაი, დაფი, ენდი კოული, იორკი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ტარიკო, ნაილი
გაძევება: პოიეტი (31)
მსაჯი: დურსო
36 036 მაყურებელი

**სიტი 0:1 საუთჰემპტონი**

0:1 მ. სვენსონი (34)
სიტი: შმაიხელი, რ. დანი (ჰორლოკი 83), სომეილი, დისტინი, ნ. იენსენი, რაიტ-ფილიპსი, ჟ. ბარტონი (ბელმადი 70), ფოე, ბენარბია, გოტერი (ფაულერი 63), ანელკა
მწვრთნელი: კევინ კიგანი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ტელფერი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ბრიჯი, ბეირდი, ოკლი, ა. სვენსონი (ტესემი 65), პრატონი (ჰიგინბოთემი 80), ბიტი, ორმეროდი (ფ. ფერნანდესი 90)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: ბარტონი, დანი, დისტინი, პრატონი, ბაირდი, ბიტი, ორმეროდი
მსაჯი: დინი
34 957 მაყურებელი

**ლიდსი 3:1 ასტონ ვილა**

1:0 ჰარტი (8), 1:1 გუდიონსონი (40), 2:1 ბარმბი (81), 3:1 ვიდუკა (90)
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი (ბარმბი 70), რადებე, დაბერი, ჰარტი, გ. კელი, ბაკე (მაკფაილი 46), მატეო (კილგალონი 86), უილკოქსი, ვიდუკა, საიმონ ჯონსონი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ასტონ ვილა: პოსტმა, ჯ. სამუელი (ი. ტეილორი 84), მელბერგი, იონსენი (დაბლინი 89), ბერი, გ. მური (კუკი 74), ჰიცლსპერგერი, გუდიონსონი, უიტინგემი, ვასელი, ოლბოკი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: მელბერგი
მსაჯი: ჰალსი
40 205 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:1 ფულემი**

0:1 საჰა (33პ)
ჩარლტონი: დ. კელი, კიშიშევი, იანგი, ფორტუნი, კ. პაუელი (გ. სტიუარტი 82), კ. იენსენი (ჯ. იოჰანსონი 82), პარკერი, იუელი, კონჩესკი, ბარტლეტი (რობერტსი 32), ლისბი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ფულემი: მაიკ ტეილორი, ფინანი, მელვილი, გომა, ჰარლი, კლარკი, შ. დევისი (ჰეილსი 82), ლეგვინსკი, მალბრანკი, საჰა (ჰემონდი 90), ბოა მორტე (კოლინზი 88)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: კიშიშევი, იანგი, მალბრანკი, ჰარლი, ლეგვინსკი
გაძევება: კელი (32)
მსაჯი: გალაჰერი
26 108 მაყურებელი

**ბოლტონი 2:1 მიდლსბრო**

1:0 ფრანდსენი (10), 2:0 ოკოჩა (21), 2:1 რიკეტსი (61)
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ბერგსონი, უიტლოუ, რ. გარდნერი, მენდი (ნოლანი 72), ფრანდსენი, კამპო, ოკოჩა, ჯორკაეფი (ჩარლტონი 89), პედერსენი (ანდრე 66)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, რიგოტი, საუთგეიტი, კედრუ, გრინინგი (რიკეტსი 46), ბოატენგი, უილკშირი, ჟუნინიო პაულისტა, მაკარონე (დორივა 46), კრისტი (დოუნინგი 46)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ფრანდსენი, მენდი, ნგოტი, გრინინგი, ბოატენგი
გაძევება: კედრუ (78)
მსაჯი: სტაილზი
27 241 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მანჩესტერი | 38 | 25 | 8 | 5 | 74:34 | 40 | 83 | 19 | 16 | 2 | 1 | 42:12 | 30 | 50 | 19 | 9 | 6 | 4 | 32:22 | 10 | 33 |
| 2 არსენალი | 38 | 23 | 9 | 6 | 85:42 | 43 | 78 | 19 | 15 | 2 | 2 | 47:20 | 27 | 47 | 19 | 8 | 7 | 4 | 38:22 | 16 | 31 |
| 3 ნიუკასლი | 38 | 21 | 6 | 11 | 63:48 | 15 | 69 | 19 | 15 | 2 | 2 | 36:17 | 19 | 47 | 19 | 6 | 4 | 9 | 27:31 | -4 | 22 |
| 4 ჩელსი | 38 | 19 | 10 | 9 | 68:38 | 30 | 67 | 19 | 12 | 5 | 2 | 41:15 | 26 | 41 | 19 | 7 | 5 | 7 | 27:23 | 4 | 26 |
| 5 ლივერპული | 38 | 18 | 10 | 10 | 61:41 | 20 | 64 | 19 | 9 | 8 | 2 | 30:16 | 14 | 35 | 19 | 9 | 2 | 8 | 31:25 | 6 | 29 |
| 6 ბლეკბერნი | 38 | 16 | 12 | 10 | 52:43 | 9 | 60 | 19 | 9 | 7 | 3 | 24:15 | 9 | 34 | 19 | 7 | 5 | 7 | 28:28 | 0 | 26 |
| 7 ევერტონი | 38 | 17 | 8 | 13 | 48:49 | -1 | 59 | 19 | 11 | 5 | 3 | 28:19 | 9 | 38 | 19 | 6 | 3 | 10 | 20:30 | -10 | 21 |
| 8 საუთჰემპტონი | 38 | 13 | 13 | 12 | 43:46 | -3 | 52 | 19 | 9 | 8 | 2 | 25:16 | 9 | 35 | 19 | 4 | 5 | 10 | 18:30 | -12 | 17 |
| 9 სიტი | 38 | 15 | 6 | 17 | 47:54 | -7 | 51 | 19 | 9 | 2 | 8 | 28:26 | 2 | 29 | 19 | 6 | 4 | 9 | 19:28 | -9 | 22 |
| 10 ტოტენჰემი | 38 | 14 | 8 | 16 | 51:62 | -11 | 50 | 19 | 9 | 4 | 6 | 30:29 | 1 | 31 | 19 | 5 | 4 | 10 | 21:33 | -12 | 19 |
| 11 მიდლსბრო | 38 | 13 | 10 | 15 | 48:44 | 4 | 49 | 19 | 10 | 7 | 2 | 36:21 | 15 | 37 | 19 | 3 | 3 | 13 | 12:23 | -11 | 12 |
| 12 ჩარლტონი | 38 | 14 | 7 | 17 | 45:56 | -11 | 49 | 19 | 8 | 3 | 8 | 26:30 | -4 | 27 | 19 | 6 | 4 | 9 | 19:26 | -7 | 22 |
| 13 ბირმინგემი | 38 | 13 | 9 | 16 | 41:48 | -7 | 48 | 19 | 8 | 5 | 6 | 25:23 | 2 | 29 | 19 | 5 | 4 | 10 | 16:25 | -9 | 19 |
| 14 ფულემი | 38 | 13 | 9 | 16 | 41:50 | -9 | 48 | 19 | 11 | 3 | 5 | 26:18 | 8 | 36 | 19 | 2 | 6 | 11 | 15:32 | -17 | 12 |
| 15 ლიდსი | 38 | 14 | 5 | 19 | 58:57 | 1 | 47 | 19 | 7 | 3 | 9 | 25:26 | -1 | 24 | 19 | 7 | 2 | 10 | 33:31 | 2 | 23 |
| 16 ასტონ ვილა | 38 | 12 | 9 | 17 | 42:47 | -5 | 45 | 19 | 11 | 2 | 6 | 25:14 | 11 | 35 | 19 | 1 | 7 | 11 | 17:33 | -16 | 10 |
| 17 ბოლტონი | 38 | 10 | 14 | 14 | 40:51 | -11 | 44 | 19 | 7 | 8 | 4 | 26:24 | 2 | 29 | 19 | 3 | 6 | 10 | 14:27 | -13 | 15 |
| 18 ვესტ ჰემი | 38 | 10 | 12 | 16 | 42:59 | -17 | 42 | 19 | 5 | 7 | 7 | 21:24 | -3 | 22 | 19 | 5 | 5 | 9 | 21:35 | -14 | 20 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 38 | 6 | 8 | 24 | 29:65 | -36 | 26 | 19 | 3 | 5 | 11 | 17:34 | -17 | 14 | 19 | 3 | 3 | 13 | 12:31 | -19 | 12 |
| 20 სანდერლენდი | 38 | 4 | 7 | 27 | 21:65 | -44 | 19 | 19 | 3 | 2 | 14 | 11:31 | -20 | 11 | 19 | 1 | 5 | 13 | 10:34 | -24 | 8 |

**ბირმინგემი 2:2 ვესტ ჰემი**

0:1 ფერდინანდი (66), 1:1 ჰორსფილდი (80), 2:1 ჯონი (88), 2:2 დი კანიო (89)
ბირმინგემი: ბენეტი, კუნა (დევლინი 73), პარსი, აპსონი, კლეპამი, დ. ჯონსონი, სევიჯი, კლემენსი, ლაზარიდისი (მ. ჰიუზი 73), დიუგარი (ჯონი 63), ჰორსფილდი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, რეეპკა, დეილი, ბრევეტი (დი კანიო 82), მ. ჯონსონი, ტ. სინკლერი, ლომასი, ჯ. კოული (ჰატჩისონი 87), დეფო, ლ. ფერდინანდი, კანო
მწვრთნელი: ტრევორ ბრუკინგი
გაფრთხილება: კლემენსი, სევიჯი, ბრევეტი
მსაჯი: პოლი
29 505 მაყურებელი

**პრემიერლიგა** დამთავრდა, კვირას, ბრიტანული დროით საღამოს ხუთი საათისთვის. ბოლო ტურის ყველა თამაში ერთ დროს, ნაშუადღევის სამ საათზე დაიწყო. ჩემპიონი წინა კვირას გარკვეულიყო, „მანჩესტერ იუნაიტედი", ცხრილის შუაწელის გუნდებს სადარდებელი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ გასარკვევი იყო ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურის პატრონის ვინაობა და „ჩელსი" და „ლივერპული" სწორედ რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ „სტემფორდ ბრიჯზე". ასევე გასარკვევი იყო, უეფას თასის ერთი საგზურის მფლობელი „ბლექბერნი" შეიქნებოდა თუ „ევერტონი" და ვინ იქნებოდა მესამე უიღბლო და დაბალ ლიგაში გავარდნილი, „ბოლტონი" თუ „ვესტ ჰემი"...

პასუხები ასეთია: „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგაში გავიდა, „ლივერპულს" უეფას თასზე მხარს „ბლექბერნი" დაუმშვენებს, ხოლო „ვესტ ჰემი", ვილცნებოთ რომ მხოლოდ ერთი წლით, დაბალ ლიგაში ითამაშებს.

საქმე კი ასე იყო: „ჩელსი" — „ლივერპული" რაღაცით სათასო ფინალსაც კი ჰგავდა, მძიმე, რთული და ნერვული თამაში იყო. შეხვედრის მიწურულს სტივენ ჯერარდიც კი გააძევეს გრემ ლე სოზე დაუნდობელი ნადირობისთვის. თამაშის დასაწყისში კი გუნდების მცველმა კაპიტნებმა გამოიდეს თავი — ჯერ სემი ჰიიპიამ ჩაუსვა თავურით კუდიჩინის, მალევე კი მარსელ დესაიმ დუდეკს. შეხვედრის სამივე გოლი პირველ ნახევარ საათში გავიდა — იესპერ გრონკიაერს საუცხოო დარტყმა გამოუვიდა და თამაშის ხასიათი იმგვარი იყო, რომ „ლივერპული", რომელსაც მოგება სჭირდებოდა ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელად, ამ თამაშს ძნელადღა მოატრიალებდა. ასეც გამოვიდა და ეს ერთგვარად სიმბოლური იყო, რადგან „ლივერპულმა" სეზონის ბოლოსღა გამოიღვიძა.

მთელი სეზონი ელვიძა „ევერტონს", რომელმაც ბოლო თვრამეტ წელიწადში საუკეთესოდ ითამაშა, მაგრამ სწორედ ბოლო მატჩში გამოეცალა ხელიდან უეფას საგზური. გასვლით მატჩში „მანჩესტერს" აღარაფერი უნდოდა, მაგრამ სერ ალექს ფერგიუსონმა ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანა, რათა ჩემპიონურად სწორედ იმათ ეთამაშათ, ვინც ჩემპიონობა მოიპოვა და „ევერტონიც" დამარცხდა საშინაო შეხვედრაში. „მანჩესტერმა" ბოლო 18 თამაშში მე-15 მოიგო, შარშანდელი 26 დეკემბრის შემდეგ კი არ წაუგია. ევერტონელმა კევინ კემპბელმა კი გახსნა ანგარიში, მაგრამ მეორე ტაიმში ბექემმა გაათანაბრა, 78-ე წუთზე კი ალან სტაბსმა რუუდ ვან ნისტელროი წააქცია საჯარიმოში და ამანაც თავად გაიტანა პენალტი, რის შედეგადაც ის გამოვიდა, რომ ლიგის მთავარმეგოლე შეიქნა 25 ბურთით. ანუ, ტიერი ანრის აღარ ეყო ის გოლი, რომელიც უკვე მე-7 წუთზე გაუტანა „სანდერლენდს". ყრმა უეინ რუნის „ევერტონის" გადარჩენა შეეძლო, ორი ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდა. სეზონის აღმოჩენამ ფეხნატკენმა დატოვა მოედანი. მთელი ამ წვალების განმავლობაში „გუდისონ პარკზე" იცოდნენ, რომ გრემ სუნესის „ბლექბერნი" ლონდონში სპობს გლენ ჰოდლის „ტოტენჰემს". ამ თამაშის ერთი საათის თავზე მასპინძლებს უკვე ოთხი უპასუხო გოლი გაეშვათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ევერტონს" აუცილებლად უნდა მოეგო.

ამავდროულად კი თამაშდებოდა გავარდნის დრამა, „ბოლტონი" „მიდლსბროს" მასპინძლობდა, „ვესტ ჰემი" კი „სენტ ენდრიუსზე" სტუმრობდა „ბირმინგემს". „ვესტ ჰემს" აუცილებლად უნდა მოეგო, რომ ეგებ არ მოეგო „ბოლტონს". 61-ე წუთზე ექსბოლტონელმა მაიკლ რიკეტსმა გოლი გაუტანა თავის ყოფილ გუნდს და ანგარიშში სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა („ბოლტონი" 21-ე წუთისათვის უკვე 2:0-ს იგებდა). ამ დროს „სენტ ენდრიუსზე" გოლი ჯერ არ გასულიყო, მაგრამ მალევე გავიდა: უბერებელმა ლეს ფერდინანდმა სტუმრები დააწინაურა. 78-ე წუთზე ბოროტლი ფრანკ კედრუ გააძევეს, მე-80-ეზე კი ბირმინგემელმა ჯეფ ჰორსფილდმა „ვესტ ჰემს" გაუთანაბრა. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სტერონ ჯონმა „ბირმინგემი" დააწინაურა, მაგრამ პაოლო დი კანიომ მაინც მოასწრო კიდევ ერთის გატანა და ეგებ ეს სიმბოლურიც იყო, რომ „ვესტ ჰემის" ბოლო პრემიერლიგური გოლი სწორედ ამ გიჟმაჟმა იტალიელმა გაიტანა, ვისი შერიგებაც მეტად ძვირი დაუჯდა გუნდის აწ გულმტკივან მენეჯერს, გლენ რიოდერს.

ჯო კოულის, ჯერმენ დეფოს, მაიკლ კარიკის გუნდი გავარდა. არავინ იცის, გაყიდის, თუ არა „ვესტ ჰემი" თავის ყრმა ვარსკვლავებს. დროებითმა მენეჯერმა ტრევორ ბრუკინგმა კი, რომლის ხელშიც გუნდს აღარ წაუგია და მხოლოდ ორი ქულა დაკარგა, თქვა: „ბიჭებს მეტს ველარაფერს მოვთხოვმეტი, უბრალოდ აღარ შეიძლება".

„ბოლტონი" კი, რომელიც ბოლო თვენახევარს ისე თამაშობდა, რომ მისი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლაც კი შეიძლებოდა, ხარობდა. მენეჯერმა სემ ალარდაისმა კი თქვა: „ჩვენ ცაში დავფრინავთ".

„სენტ ენდრიუსზე" კი „ვესტ ჰემის" ფანებმა დასძახეს: „ჩვენ დავბრუნდებით".

პრემიერლიგა ისვენებს, აგვისტომდე.

**ირაკლი გამყრელიძე**




ლივერპულელი მაიკლ ოუენისთვის ჩემპიონთა ლიგაში ადგილი არ მოიძებნა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 25 |
| ანრი (არსენალი) | 24 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 23 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 20 |
| ოუენი (ლივერპული) | 19 |
| შირერი (ნიუკასლი) | 17 |

**I დივიზიონი**

**პლეი ოფი**
**1/2 ფინალი. I მატჩები**

**ნოტინგემი 1:1 შეფილდ იუნ.**
1:0 ჯონსონი (55), 1:1 ბრაუნი (58)

**ვულვერჰემპტონი 2:1 რედინგი**
0:1 ფორსტერი (25), 1:1 მარტი (75), 2:1 ნეილორი (84)

**II დივიზიონი**

**პლეი ოფი**
**1/2 ფინალი. I მატჩები**

**კარდიფი 1:0 ბრისტოლი**
**ოლდემი 1:1 ქუინზ პარკი**

**III დივიზიონი**

**პლეი ოფი**
**1/2 ფინალი. I მატჩები**

**ლინკოლნი 5:3 სკანთორპი**
**ბერი 0:0 ბორნმუთი**

# სუნთქვითი ვარჯიშების სიკეთე

## მებრძოლი ღორის სირცხვილი, შნაიდერის ჩხუბი და 71-ე წუთი

### გერმანია

**ბუნდესლიგა. XXXII ტური**

**ჰერტა 3:6 ბაიერნი**

1:0 ბალაკი (ნს.კ.), 1:1 ელბერი (19), 1:2, 1:3 პიზარო (22, 23), 1:4, 1:5 ელბერი (32, 45), 2:5 მარსელინიო (59პ), 2:6 ბალაკი (85), 3:6 მარსელინიო (88)

ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, რემერი (მადლუნგი 41), სიმუნიჩი, ჰარტმანი, დარდაი, მარქსი, გოორი (ალვეში 70), მარსელინიო, პრეეცი, ლუიზაო (ნოიენდორფი 40)

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, თ. ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი (ნ. კოვაჩი 80), ბალაკი (ფინკი 86), დაისლერი (ფიულნერი 79), შვაინშტაიგერი, კ. პიზარო, ელბერი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: რემერი, ნოიენდორფი, მადლუნგი, შვაინშტაიგერი

მსაჯი: შტაინბორნი

59 200 მაყურებელი

**დორტმუნდი 4:1 ნიურნბერგი**

1:0, 2:0 რიკენი (28, 54), 3:0 რეინა (65), 4:0 კოლერი (68), 4:1 ჩირიჩი (89)

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ვიორნსი (დემელი 83), მადუნი, ფერნანდესი, დედე, შ. როიტერი, ფრინგსი, როსიცკი, რიკენი, კოლერი (ლეანდრო 72), ევერტონი (ჯ. რეინა 30)

მწვრთნელი: მათიას ზამერი

ნიურნბერგი: კამპა, ვოლფი, ფრაი, კოში, პოპოვიჩი (მიხალკე 46), ნიკლი, ლარსენი, იაროლიმი, კრჟინოვეკი, კაკაუ (ჟუნიორი 68), დრილერი (ს. ჩირიჩი 56)

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

გაფრთხილება: როიტერი, პოპოვიჩი, ნიკლი

მსაჯი: მაიერი

67 600 მაყურებელი

**შტუტგარტი 0:1 ვერდერი**

0:1 რუი მარკეში (ნს.კ.)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, რუი მარკეში, ბორდონი, გერბერი, მეირა, მაისნერი (მუტცელი 27), გლები, ბალაკოვი (დანდი 65), ამანატიდისი (განია 46), კურანი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ვერდერი: ბორელი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ფ. ერნსტი, სტალტერი, მანინი (შულცი 83), ლისტეში (ბოროვსკი 77), მიკუ, ხარისტიასი, დაუნი (რაიხი 78)

მწვრთნელი: თომას შაფი

გაფრთხილება: ბორდონი, ჰინკელი, მეირა, ერნსტი, ლისტეში, მანინი, სტალტერი

მსაჯი: ფანდელი

51 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 4:1 ლევერკუზენი**

1:0 ბარბარესი (18), 2:0 რომეო (55), 2:1 ბალიტჩი (88), 3:1 მეიერი (90), 4:1 იაკობსენი (90)

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, უიფალუში, ჰოლერბახი (იაკობსენი 57), მალტრიცი, ვიკი, კარდოზო (ჰერჩი 54), მაჰდავიკია, რომეო (მეიერი 89), ბარბარესი

მწვრთნელი: კურტ იარა

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ოჯიგვე (ბ. შნაიდერი 46), ლუსიო, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ბალიტჩი, ბიროფკა, ბაშთურქი (ბაბიჩი 78), ნოივილი (ფრანცა 63), ბერბატოვი

მწვრთნელი: თომას ჰიორსტერი

გაფრთხილება: ბარბარესი, ჟუანი, ბიროფკა, პლასენტე

გაძევება: შნაიდერი (52), უიფალუში (52)

მსაჯი: კრუგი

51 629 მაყურებელი

**შალკე 0:2 ჰანოვერი**

0:1 კრუპნიკოვიჩი (60), 0:2 სტაინერი (73)

შალკე: ფ. როსტი, ასამოა, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ვერმანტი, მიოლერი, ჰინტუ, ვარელა (აგალი 62), ბიომე, სანდი, ე. მპენზა

მწვრთნელი: მარკ ვილმოტსი

ჰანოვერი: ტრემელი, კონსტანტინიდისი, პოპესკუ, ვინიციუსი, ჩერუნდოლო, ლალა, ხაიმე, იდრისუ, კრუპნიკოვიჩი (კ. ლინკე 87), სტაინერი (შტენდელი 83), ბობიჩი (კაუფმანი 90)

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: სანდი, ვალდოხი, კრუპნიკოვიჩი, ჩერუნდოლო, ვალდოხი

გაძევება: ვალდოხი (86)

მსაჯი: ფლაიშერი

60 886 მაყურებელი

**მიუნხენი 3:0 კოტბუსი**

1:0 შაო (5), 2:0, 3:0 შროტი (33, 65)

მიუნხენი: იენჩი, შტრანცი (მაიერი 81), კურცი, ჰოფმანი, ტისი, ჩერნი, ვიზინგერი, შაო (აგოსტინო 71), ჰესლერი (ბორიმიროვი 68), ლაუტი, შროტი

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

კოტბუსი: ლენცი, როჟგონი (იანი 84), და სილვა, ბერჰალტერი, ჰუიჯოროვიჩი (მატუშკა 49), ტ. როსტი, ლიოვი, ლატუნდი, იუნგნიკელი (კობილანსკი 64), რაიხენბერგერი, იუსკოვიაკი

მწვრთნელი: ედუარდ გაიერი

გაფრთხილება: შაო, ჰუიჯოროვიჩი, როსტი, როჟგონი, ბერჰალტერი

მსაჯი: გაგელმანი

18 500 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:2 კაიზერსლაუტერნი**

0:1 სფორცა (5), 1:1, 2:1 მარიჩი (19, 57), 2:2 მიფსუდი (69)

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, ბილიშკოვი, შნოორი, ვაიზერი, კარჰანი, ტიამი, რაუ (ფრანცი 74), პონტე (პრეგერი 56), მ. პეტროვი (კლიმოვიჩი 82), ტ. მარიჩი

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოცისი, ტ. კლოსი, ჰ. კობი (მიფსუდი 66), ჩატო, სფორცა, ხრისტოვი, ბიელიცა (ანფანგი 66), დომინგუში (ტებერი 80), კლოზე, ლოკვენცი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: ვაიზერი, ბილიშკოვი, სფორცა, ლოკვენცი, კლოზე

მსაჯი: შიპელი

21 136 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 3:0 ჰანზა**

1:0 დემო (37), 2:0 ფორსელი (63), 3:0 სკუბო (77)

მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, პლეტჩი, შტრასერი, ახანინი, კლუგე, ულიხი (ებერლი 84), დემო, სკუბო (აიდოო 84), ფორსელი (ვან ლენტი 79), კეტელაერი

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

ჰანზა: შობერი, ვიმერი, კინცი, ჰილი, ჰირში, იაკობსონი, ადუბე, ლანცი, პერსონი, არვიდსონი (დი სალვო 62), ვორბეკი (რიდლევიჩი 69)

მწვრთნელი: არმინ ვეჰი

გაფრთხილება: შტრასერი, კლუგე, პერსონი, ვიმერი

მსაჯი: ფროილიხი

31 300 მაყურებელი

**არმინია 1:3 ბოხუმი**

0:1 ფრაიერი (23), 1:1 ვიშნიარეკი (42), 1:2 კრისტიანსენი (71პ), 1:3 ბაკლი (90)

არმინია: ჰაინი, რაუვი (პორკელიო 83), რაინჰარდტი, ბოგუჟი, ჰანსენი, მურავსკი (ბოგდანოვიჩი 83), დამაიერი, ჩა, ვატა, დიაბანგი (ჰაინცი 72), ვიშნიარეკი

მწვრთნელი: ბენო მიოლმანი

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ვრიზდე, ბემბელი, ოლისე (რაისი 76), შინდცილორცი, ვოში (ტაპალოვიჩი 82), ფრაიერი, ბაკლი, კრისტიანსენი (ჰაშემიანი 73)

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

გაფრთხილება: რაუვი, ბოგუჟი, ბოგუჟი, ოლისე

გაძევება: ბოგუჟი (70)

მსაჯი: აუსტი

24 408 მაყურებელი



ჰერტა — ბაიერნი. ბერლინელი ბარტ გოორი იოსიპ სიმუნიჩმაც (№14) და მიუნხენელმა სებასტიან დაისლერმაც დასაყრდნობად გამოიყენეს



„ლევერკუზენის“ მენეჯერი რაინერ კალმუნდი მეორე ბუნდესლიგისთვის ემზადება

REUTERS

...არა, „შტუტგარტის“ ყვავილობა ჯერ ადრეა — ფელიქს მაგათის მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი გუნდს არაფერში წაადგა და „შტუტგარტი“ მეორედან მესამე ადგილზე ჩაცურდა.

„შტუტგარტ“ — „ვერდერის“ მატჩი დიდი ვერაფერი ხვითო გამოდგა. რუი მარკიზის ავტოგოლის შემდეგაც მასპინძლები ისე ვერ გაბრაზდნენ, როგორც საჭირო იყო და ბრემენელებს სამი ქულა გაატანეს.

ამასობაში დორტმუნდულმა „ბორუსიამ“ გაილაღა. მათიას ზამერის გუნდი ისე გაბოროტდა, რომ ბეჩავ „ნიურნბერგს“ ოთხმოცდაათი წუთი არ ამოუსუნთქავს. „ვესტფალენშტადიონზე“ 67 ათასი კაცი მივიდა სეირის საყურებლად. ჩინებულად გაისარჯა ლარს რიკენი, ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და არასტაბილური ფეხბურთელი. ნიურნბერგელთაგან კი საშა ჩირიჩმა წამოყო ცხვირი — ამ მაკედონიელ ფორვარდს ხომ ისედაც ცხვირაწეულის იმიჯი აქვს გერმანიაში.

ვერ გამოდგა საინტერესო თამაში ჰამბურგში, თორემ ბრძოლა და მონდომება გუნდებს არ დაუკლიათ. ეგაა, მასპინძლებმა აშკარად აჯობეს სტუმრებს. „ლევერკუზენი“ ამ წაგებით არ ჩამოქვეითებულა, მაგრამ თუ დარჩენილი ორივე მატჩი ვერ მოიგო, მეორე ბუნდესლიგა არ უნდა ასცდეს. თომას უიფალუში და ბერნდ შნაიდერი კი ჩხუბისთვის მოაშორეს მინდვრიდან. ათკაცაში „ლევერკუზენი“ ოდნავ უკეთ ათამაშდა და როცა პანი ბალიტჩმა ერთი ბურთი გაქვითა, მატჩის გადარჩენის იმედიც მიეცათ ფარმაკოლოგებს. თუმც მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში „ჰამბურგმა“ კონტრშეტევებზე ორჯერ საგოლედ გამოიჭირა მეტოქე.

„შალკეზე“ გერმანიაში უთქვამთ, სამარცხვინოდ ითამაშა და დამამცირებელი მარცხიც იწვნია „ჰანოვერისგან“. მარკ ვილმოტსზე კი თქვეს, „მებრძოლი ღორი“ კი შევარქვით, მაგრამ „ხუმარათა“ მწვრთნელის სამწყსოს მებრძოლების არაფერი ეტყობოდათო. ამ გამარჯვებით წინა სეზონის მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონმა „ჰანოვერმა“ უკან დაბრუნებაზე ერთხელაც თქვა უარი, თუმც თუ ცხრილს შეხედავთ, „ბოხუმის“ ქვემოთ მოქცეულ გუნდებს თავი სამშვიდობოს ჯერ არ გაუყვიათ.

„ბოხუმმა“ კი არგავარდნა ამ ტურში დაზღვია. „არმანია“ — „ბოხუმის“ შეხვედრაში გადამწყვეტი 71-ე წუთი გამოდგა — დანიელ ბოგუჩმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და გაძევეს, ხოლო პენალტი ტომას კრისტიანსენმა შეაგდო [illegible] რობაში ბავარიელ ჯოვანი [illegible] ქრება.

ელბერმა და „ბაიერნმა“ გასვლაზე ბერლინის „ჰერტა“ არ დაინდეს. კარგად ითამაშა ყოფილმა ჰერტელმა სებასტიან დაისლერმა — მის ანგარიშზე ორი საგოლე პასია. მიხაელ ბალაკმა კი „ბაიერნსაც“ გაუტანა გოლი და „ჰერტასაც“, ხოლო კლაუდიო პიზარომ ორ წუთში ორი ბურთი შეაგდო. დედაქალაქელებს ახლა თამამად შეუძლიათ, ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებას თავი დაანებონ.

[illegible] დარჩენილმა „1860“ იმედი [illegible] რომ კოტბუსის „ენერგის“ ბუნდესლიგის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მეორე ბუნდესლიგაში გადაუძახა. კოტბუსელთა რბევა ჩინელმა შემტევმა შაო ჟიამ დაიწყო და მარკუს შროტმა გააგრძელა.

ფოლკსვაგენეთში საჭირო ქულის გამორჩა ერიკ გერეტის „კაიზერსლაუტერნი“ და თითქმის გადარჩენილია არგავარდნისგან. „ვოლფსბურგი“ კი ვერანაირად ველარ მოხვდება მომავალ სეზონში ევროთასზე.

ვისაც ოდინდელი დიდი გუნდების ცუდი ამბები არ ახარებს, სახე კმაყოფილებით უნდა აღნიშნოს — გლადბახურმა „ბორუსიამ“ როსტოკის „ჰანზა“ კაკლის ნესავით ბერტყა და გერმანიის ხუთგზის ჩემპიონი იქნებ არც გავარდეს.

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 31 | 21 | 6 | 4 | 62:20 | 42 | 69 | 16 | 12 | 3 | 1 | 35:11 | 24 | 39 | 15 | 9 | 3 | 3 | 27:9 | 18 | 30 |
| 2 შტუტგარტი | 31 | 16 | 8 | 7 | 50:36 | 14 | 56 | 15 | 8 | 5 | 2 | 28:13 | 15 | 29 | 16 | 8 | 3 | 5 | 22:23 | -1 | 27 |
| 3 დორტმუნდი | 31 | 14 | 11 | 6 | 46:25 | 21 | 53 | 15 | 9 | 5 | 1 | 26:11 | 15 | 32 | 16 | 5 | 6 | 5 | 20:14 | 6 | 21 |
| 4 ჰერტა | 31 | 15 | 6 | 10 | 47:35 | 12 | 51 | 15 | 9 | 4 | 2 | 30:13 | 17 | 31 | 16 | 6 | 2 | 8 | 17:22 | -5 | 20 |
| 5 ჰამბურგი | 31 | 13 | 10 | 8 | 39:34 | 5 | 49 | 15 | 11 | 3 | 1 | 24:10 | 14 | 36 | 16 | 2 | 7 | 7 | 15:24 | -9 | 13 |
| 6 შალკე | 31 | 11 | 13 | 7 | 44:36 | 8 | 46 | 15 | 5 | 8 | 2 | 22:14 | 8 | 23 | 16 | 6 | 5 | 5 | 22:22 | 0 | 23 |
| 7 ვერდერი | 31 | 14 | 4 | 13 | 47:45 | 2 | 46 | 16 | 9 | 2 | 5 | 32:22 | 10 | 29 | 15 | 5 | 2 | 8 | 15:23 | -8 | 17 |
| 8 ვოლფსბურგი | 31 | 12 | 6 | 13 | 35:38 | -3 | 42 | 15 | 10 | 1 | 4 | 22:13 | 9 | 31 | 16 | 2 | 5 | 9 | 13:25 | -12 | 11 |
| 9 მიუნხენი | 31 | 11 | 9 | 11 | 39:45 | -6 | 42 | 15 | 5 | 5 | 5 | 17:18 | -1 | 20 | 16 | 6 | 4 | 6 | 22:27 | -5 | 22 |
| 10 ლაუტერნი | 31 | 10 | 8 | 13 | 38:38 | 0 | 38 | 16 | 9 | 2 | 5 | 23:12 | 11 | 29 | 15 | 1 | 6 | 8 | 15:26 | -11 | 9 |
| 11 ჰანზა | 31 | 10 | 8 | 13 | 32:36 | -4 | 38 | 16 | 5 | 5 | 6 | 17:18 | -1 | 20 | 15 | 5 | 3 | 7 | 15:18 | -3 | 18 |
| 12 ბოხუმი | 31 | 10 | 8 | 13 | 47:52 | -5 | 38 | 16 | 6 | 4 | 6 | 25:24 | 1 | 22 | 15 | 4 | 4 | 7 | 22:28 | -6 | 16 |
| 13 არმინია | 31 | 8 | 12 | 11 | 34:39 | -5 | 36 | 15 | 7 | 5 | 3 | 22:12 | 10 | 26 | 16 | 1 | 7 | 8 | 12:27 | -15 | 10 |
| 14 ჰანოვერი | 31 | 10 | 6 | 15 | 42:55 | -13 | 36 | 16 | 4 | 5 | 7 | 26:31 | -5 | 17 | 15 | 6 | 1 | 8 | 16:24 | -8 | 19 |
| 15 გლადბახი | 31 | 9 | 8 | 14 | 34:42 | -8 | 35 | 15 | 8 | 5 | 2 | 24:10 | 14 | 29 | 16 | 1 | 3 | 12 | 10:32 | -22 | 6 |
| 16 ლევერკუზენი | 31 | 9 | 7 | 15 | 42:52 | -10 | 34 | 16 | 5 | 3 | 8 | 24:28 | -4 | 18 | 15 | 4 | 4 | 7 | 18:24 | -6 | 16 |
| 17 ნიურნბერგი | 31 | 8 | 6 | 17 | 31:53 | -22 | 30 | 16 | 4 | 4 | 8 | 16:23 | -7 | 16 | 15 | 4 | 2 | 9 | 15:30 | -15 | 14 |
| 18 კოტბუსი | 31 | 6 | 8 | 17 | 31:59 | -28 | 26 | 16 | 3 | 3 | 10 | 15:29 | -14 | 12 | 15 | 3 | 5 | 7 | 16:30 | -14 | 14 |

**XXXIII ტური**

18 მაისი

ვოლფსბურგი — ჰერტა
კოტბუსი — ნიურნბერგი
ლევერკუზენი — მიუნხენ 1860
ბოხუმი — ჰამბურგი
ჰანზა — არმინია
ჰანოვერი — გლადბახი
ვერდერი — შალკე
ბაიერნი — შტუტგარტი
ლაუტერნი — დორტმუნდი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 19 |
| ელბერი (ბაიერნი) | 19 |
| აილტონი (ვერდერი) | 16 |
| პიზარო (ბაიერნი) | 15 |

### მეორე ბუნდესლიგა

**XXXII ტური**

**ბურგჰაუზენი 1:2 ფრაიბურგი**

1:0 ლიუტცლერი (4), 1:1 ვილი (12), 1:2 რამდანე (70)

ფრაიბურგი: გოლცი, ბ. დიარა (ჰერმელი 46), კონდე, ვილი (შ. მიულერი 72), ბერნერი, ა. ცაიერი, ბაირამოვიჩი, ცქიტიშვილი, გუიე-მიენი (რამდანე 46), იაშვილი, ტანკო

*ლევან კობიაშვილი ტრავმირებულია, ზაზა ზამთარაძე სარეზერვო გუნდშია*

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**ფიურტი 2:0 კიოლნი**

1:0 აზუზი (26), 2:0 რაიხელი (82პ)

*ფიურტელი გიორგი დეკანოსიძე სათადარიგო იყო, კიოლნელი არჩილ არველაძე სარეზერვო გუნდშია*

**დუისბურგი 2:0 როიტლინგენი**

1:0 ვოსი (48), 2:0 ებერსი (85)

**აინტრახტი 4:1 ვალდჰოფი**

1:0 ჯონსი (40), 2:0 კელერი (75), 2:1 კერნი (78), 3:1 შკელა (82პ), 4:1 ჯონსი (90)

**ლიუბეკი 0:1 უნიონი**

0:1 ბაუმგარტი (52)

**ალემანია 2:0 ობერჰაუზენი**

1:0 კრონტირისი (1), 2:0 ივანოვიჩი (73)

**ტრირი 0:1 ბრაუნშვაიგი**

0:1 ტეიშეირა (77)

**კარლსრუე 1:1 ზანქტ პაული**

0:1 გერბერი (45), 1:1 ეგიმენი (60)

**ალენი — მაინცი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 32 | 18 | 11 | 3 | 62:40 | 65 |
| ფრაიბურგი | 32 | 19 | 7 | 6 | 53:28 | 64 |
| ფიურტი | 32 | 15 | 11 | 6 | 52:31 | 56 |
| აინტრახტი | 32 | 15 | 11 | 6 | 51:30 | 56 |
| მაინცი | 31 | 17 | 5 | 9 | 52:33 | 56 |
| ალემანია | 32 | 13 | 9 | 10 | 53:42 | 48 |
| ტრირი | 32 | 13 | 6 | 13 | 50:44 | 45 |
| დუისბურგი | 32 | 11 | 10 | 11 | 39:41 | 43 |
| უნიონი | 32 | 9 | 15 | 8 | 35:47 | 42 |
| ლიუბეკი | 32 | 12 | 5 | 15 | 47:44 | 41 |
| ბურგჰაუზენი | 32 | 9 | 13 | 10 | 44:39 | 40 |
| ობერჰაუზენი | 32 | 10 | 7 | 15 | 37:44 | 37 |
| კარლსრუე | 32 | 8 | 12 | 12 | 32:43 | 36 |
| როიტლინგენი | 32 | 10 | 6 | 16 | 35:47 | 36 |
| ალენი | 31 | 8 | 7 | 16 | 40:56 | 31 |
| ბრაუნშვაიგი | 32 | 7 | 10 | 15 | 31:49 | 31 |
| ზტ. პაული | 32 | 6 | 10 | 16 | 43:63 | 28 |
| ვალდჰოფი | 32 | 6 | 7 | 19 | 31:66 | 25 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

30-ე ტური: ვერდერი (მ) — დინამო 0:0; ბაბელსბერგი — კიოლნი (მ) 4:2; პადერბორნი — ქემნიცი 3:4; აუე — ფერლი 3:0; ლევერკუზენი (მ) — ესენი 0:3; ოსნაბრიუკი — ვატენშაიდი 2:0; იურდინგენი — მიუნსტერი 2:0; დრეზდენი — კილი 1:1. დორტმუნდი (მ) — ჰამბურგი (მ) *წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

### სამხრეთ რეგიონალლიგა

33-ე ტური: ერფურტი — ბაიერნი (მ) 0:0; აალენი — ოფენბახი 1:1; ზაარბრიუკენი — უნტერჰახინგი 1:1; ნოინკირხენი — ვეჰენი 1:0; პფულენდორფი — რეგენსბურგი 2:1; აუგსბურგი — ჰოფენჰაიმი 3:2; შვაინფურტი — კაიზერსლაუტერნი (მ) 1:1; დარმშტადტი — ელვერსბერგი 3:0; ზიგენი — კაიზერი 1:1

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი XXXIII ტური

### მალაგა 0:2 დეპორტივო

0:1 დონატო (12), 0:2 სკალონი (90)
მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, სანსი, ხერარდო (ლეკო 60), ხოსემი, რომერო, მანუ, სანდრო, ნაზო (პაკო ესტებანი 73), დელი ვალდესი (კანაბალი 60)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
დეპორტივო: ხუანმი, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, დონატო, მაურო სილვა, ფრანი (კაპდევილა 62), სერხიო, ვალერონი (დუშერი 80), მაკაი, ვიქტორი (სკალონი 74)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: მაურო სილვა, ნაიბეტი, რომერო, ვალერონი, სანსი
მსაჯი: პერეს ლასა
18 000 მაყურებელი

### მალიორკა 1:3 სოსიედადი

0:1 დე პედრო (10პ), 0:2 კარპინი (25), 0:3 კოვაჩევიჩი (53), 1:3 ეტოო (60)
მალიორკა: ლეო ფრანკო, კორტესი, ფ. ნინიო (ვისენტე 31), პოლი, ლუსენჰოფი, იბაგასა, ნოვო (ტურუ ფლორესი 78), მარკოსი, აროლდ ლოზანო, ლეო ბიაჯინი (კარლოსი 56), ეტოო
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი (გურუჩაგა 90), ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ხაურეგი, დე პედრო (გაბილონდო 85), კარპინი, კოვაჩევიჩი, არანზური, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: ნინიო, არანსაბალი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
19 000 მაყურებელი

### უელვა 0:0 რეალი

უელვა: ლუკე, ესპინოლა, პერნია, ხავი გარსია, იკერ ბეგონია, ბენიტესი, ლორენი, ვიკეირა (არპონი 87), კამაჩო, რაულ მოლინა (ხისკო 60; რომერო 78), ბერმეხო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, პავონი, რობერტო კარლოსი, მინიამბრესი (სოლარი 63), მაკელელე, გუტი, მაკმანამანი, მორიენტესი (პორტილიო 77), ტოტე (ფ. კონსეისაო 69)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ხისკო, ლორენი, სალგადო, იკერ ბეგონია
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
20 000 მაყურებელი

### სელტა 2:2 რასინგი

1:0 ხუანფრანი (36), 1:1 ხავი გერერო (56პ), 2:1 ედუ (84), 2:2 დიეგო ალონსო (90)
სელტა: კავალიერო, ველასკო, ბერიზო, ხუანფრანი, სერხიო, მოსტოვოი (ვაგნერი 63), ხოსე იგნასიო (ხოსე ხუანი 55), ედუ, ლუქსენი, გუსტავო ლოპესი, კატანია (ხესული 51)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
რასინგი: ლემენსი, კორომინა, პაბლო კასარი, მორა, ხუანმა, ისმაელი, მატეო (დიეგო ალონსო 87), ბენაიუნი, ბოდიპო, ხავი გერერო (რეგუერო 63), მუნიტისი
მწვრთნელი: ჩუჩი კოსი
გაფრთხილება: ბენაიუნი, კორომინა, მუნიტისი, პაბლო კასარი, ხუანფრანი, კორომინა
გაძევება: კავალიერო (54), კორომინა (69)
მსაჯი: რამირეს დომინგესი
18 000 მაყურებელი

### ვალენსია 1:2 ვილიარეალი

0:1 ხორხე ლოპესი (37პ), 0:2 ფარინოსი (41), 1:2 ხუან სანჩესი (79პ)
ვალენსია: კანისარესი, ფ. აურელიო, აიალა, მარჩენა, რეველიერი, ბარახა, ანგულო, რუფეტე (კარბონი 46), აიმარი, ხუან სანჩესი, ვისენტე (მისტა 66)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა (გალვანი 79), კიკე ალვარესი, ხავი ვენტა, ბალესტეროსი, ხორხე ლოპესი, ხოსიკო (კიკე მედინა 81), ფარინოსი, დე ნიგრისი, კალეხა (გიარე 85)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: ბარახა, ხოსიკო, ხორხე ლოპესი, მარჩენა, აურელიო, არუაბარენა, რეველიერი, რეინა
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
40 000 მაყურებელი


REUTERS სევილიიდან

სევილია — ბარსელონა. პატრიკ კლუივერტმა ბურთს თავი კი ურტყა, მაგრამ ვერაფერი გააწყო

# როცა არბიტრს დასტვენა ავიწყდება

### ბილბაო 0:0 ვალიადოლიდი

ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ოსკარ ვალესი, ლაკრუსი (ლუის პრიეტო 71), იესტე, ხავი გონსალესი, ალკისა, დელ ორნო, ესკერო (ტიკო 88), ხ. ეჩებერია (არიაგა 76), ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, ტორეს გომესი, დ. ჩირიჩი (ოსკარი 84), კოლსა, ანტონიო ლოპესი, კამინერო, ფერნანდო სალესი, აგანსო, ჯონათანი
მწვრთნელი: ხოსე პეპე მორე
გაფრთხილება: დელ ორნო, კამინერო, ეჩებერია, პენია, ფერნანდო სალესი
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
38 000 მაყურებელი

### სევილია 0:0 ბარსელონა

სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, ოსკარი, ნიეგესი, გალიარდო, მარკოს ვალესი (დანიელი 56), კასკერო, ტორადო, რეიესი (ვ. ხალასი 17), ტოედტლი (ანტონიტო 67)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, ფ. დე ბური, სორინი, კოკუ, ხერარდი, მენდიეტა (რაიციგერი 61), გაბრი, ლუის ენრიკე, კლუივერტი, სავიოლა (რიკელმე 83)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: დე ბური, ტორადო, პუიოლი
მსაჯი: მეია დავილა
35 000 მაყურებელი

### ატლეტიკო 0:1 ალავესი

0:1 ილიე (55)
ატლეტიკო: ესტებანი, კონტრა (აგილერა 65), კოლოჩინი, ოტერო, გარსია კალვო, სერხი, ნაგორე, მოვილია, ემერსონი (დანი 46), კორეა, ხავი მორენო (ხორხე 52)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია, კარმონა (ტურიელი 90), ტელიესი, ლორენსი, აბელარდო, მარა (ილიე 51), პაბლო, ასტუდილიო, ლ. ელგერა, რუბენ ნავარო (ივან ალონსო 73)
მწვრთნელი: ჩიჩი არანგურენი
გაფრთხილება: ლორენსი, ნაგორე, ასტუდილიო, ილიე, ოტერო, პაბლო
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
25 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 0:0 ოსასუნა

ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, ლოპო, სოლდევილა, ტორიჩელი, დომორო, მორალესი (ველამასანი 65), როხერი (მარტინ პოსე 75), მაქსი, ალექს ფერნანდესი (დე ლა პენია 56), მილოშევიჩი
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ოსასუნა: სანსოლი, კრუჩაგა, ხოსეჩო, რივერო, ანტონიო ლოპესი, პუნიალი, პაბლო გარსია, განსედო (ალფრედო 61), ვალდო (ივან როსადო 90), ისკიერდო, მორალესი (პალასიოსი 71)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: განსედო, ვალდო, სოლდევილა, დე ლა პენია, ლოპო
გაძევება: პაბლო გარსია (62)
მსაჯი: კარმონა მენდესი
18 300 მაყურებელი

### რაიო ვალეკანო 1:1 ბეტისი

1:0 ბოლო (5), 1:1 ფერნანდო (44)
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, დორადო (ლუის სემბრანოსი 67), ...ნფი, მორა, მაურო, პაბლო სანსი (ირინეი 46), ონოპკო, მიჩელი, კევედო, პერაგონი, ბოლო (ბოლიჩი 55)
მწვრთნელი: ანტონიო ირიონდო
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ტაისი, მ. ასუნსაო (იტო 60), ვარელა, ფერნანდო, ფილიპესკუ, არზუ (ბენჯამინი 75), ალფონსო, ხოაკინი (კასასი 78)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ფერნანდო, ტაისი, ალფონსო, მორა, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო
მსაჯი: მორენო დელგადო
13 000 მაყურებელი

**ჯერ კიდევ მარტში**, როცა „დეპორტივო" ჩემპიონთა ლიგას გამოეთხოვა, „რეალი" კი მეოთხედფინალში გავიდა, ლაკორუნიელთა მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ თქვა, ახლა ერთი ორად გაგვიადვილდება ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლა, რადგან სხვაგან არსად ვთამაშობთ, „რეალს" კი კვლავაც მოუხდება ორად გაჭრაო. ვისაც ირურეტას ნათქვამი მაშინ სარწმუნოდ არ მოეჩვენა, შეუძლია დღეს პრიმერადივიზიონის ცხრილს ჩახედოს.

ისიც გავიხსენოთ, რომ „დეპორტივომ" ბოლო ექვსი მატჩიდან ხუთი მოიგო, ხოლო „რეალმა" ბოლო ორ ტურში ხუთი ქულა დაკარგა. ოქმს თუ ჩახედავთ, შენიშნავთ, რომ მადრიდელებმა უელვაში მეორე შემადგენლობით ითამაშეს, მაგრამ ამაში ხომ დამნაშავე ისევ და ისევ ჩემპიონთა ლიგაა — „რეალის" ვარსკვლავები სწორედ „იუვენტუსთან" მოგებას შეეწირნენ.

თამაშიც ისეთი იყო, მოგებას „უელვა" უფრო იმსახურებდა და ხეირიანი მომენტებიც ჰქონდა. გამორჩეულად სახიფათონი რაულ მოლინა და მარიო ბერმეხო იყვნენ. „რეალი" კი ქულის გადარჩენას იკერ კასილიასის გმირულ ნახტომებს უნდა უმადლოდეს. როგორი თამაშიც იყო, ვისენტე დელ ბოსკეს ყურებითაც მიხვდებოდით: ჩვეულებრივ უემოციო და აუღელვებელი მადრიდელი მწვრთნელი ადგილს ვერ პოულობდა და სკამზე თითქმის არ დამჯდარა.

ისიც სათქმელია, რომ „უელვა" — „რეალი" რომ დამთავრდა, „მალაგა" — „დეპორტივო" მერელა დაიწყო, ანუ გალისიელებმა წინასწარვე იცოდნენ, ლიდერობის ხელში ჩაგდება რომ შეეძლოთ. სტუმრებმა თავიდანვე მონდომებით შეუტიეს და ბებერმა მცველმა დონატომ მეკარე პედრო კონტრერასს თავზე გადაგდებით გაუტანა პირველი გოლი. „დეპორტივოს" ამის მერეც არ შეუწყვეტია საგოლე მცდელობა, თუმცა იმ ერთი შეცდომის შემდეგ „მალაგა" უკეთ იცავდა თავს. მაგრამ აქვე ვთქვათ, რომ „მალაგა" ნაკლებად უტევდა და ლაკორუნიელებს იმ ერთი გოლითაც მშვიდად შეეძლოთ ეგრძნოთ თავი. თუმცა მეორე გოლი მაინც გავიდა და ეს ლიონელ სკალონიმ მოახერხა მესამე წამატებულ წუთზე.

„დეპორტივოსგან" „რეალის" გადასწრება უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ, ის კი არ გვითქვამს, რომ „რეალს" „სოსიედადმაც" გადაუსწრო, არადა ბასკთა მეტოქე წინა ტურში „რეალის" შემარცხვენელი „მალიორკა" იყო და ამიტომაც საგანგებოდ ალვნიშნოთ: „სოსიედადმა" ძალიან იოლად მოიგო და სამი გოლის მერე სამუელ ეტოოს ერთმა საპასუხომ ხასიათი იოტისოდენადაც ვერ გაუფუჭა.

„ვალენსიას" კი რა ემართება, ვერ მოგახსენებთ, ბოლო ოთხი მატჩიდან სამი წააგო, თან ვისთან: „ვალიადოლიდთან", „რასინგთან" და ახლა „ვილიარეალთან". ერთი სიტყვით, იმ გუნდებთან, რომლებთანაც წესით არ უნდა აგებდეს. ამასთანავე, „ვილიარეალს" „მესტალიაზე" აქამდე არასდროს მოეგო.

მასპინძლებს პირველი გოლი ხორხე ლოპესმა პენალტით გაუტანა, რომელიც კარლოს მარჩენას უხეშად თამაშს მოჰყვა. მეორე გოლი კი ძველმა ვალენსიელმა ფრანსისკო ფარინოსმა შეაგდო. ამ გოლისას სანტიაგო კანისარესმა მიჰქარა, იოლი ბურთი ვერ დაიჭირა. ბოლოსკენ ხუან სანჩესმა ერთი ბურთი კი გაქვითა და გუნდმაც ბევრი იჯახირა, მაგრამ წაგებას ვერ გადაურჩა.

„ვალენსიას" კიდევ ბედი ჰქონია, რომ ვიგოში მსაჯს საფინალოდ დასტვენა დაავიწყდა. ამ დავიწყების გამო რასინგელმა დიეგო ალონსომ „სელტას" 99-ე წუთზე გაუტანა და გუნდებმა ქულები გაიყვეს. „რასინგმა" ამ ქულით ალბათ საბოლოოდ დააღწია თავი გავარდნის საფრთხეს, „სელტამ" კი „ვალენსიას" ოდენ ერთი ქულით გადაუსწრო. ამ თამაშის თაობაზე დავძინოთ, რომ ვიგოელებს მეკარე პაბლო კავალიერო გაუგდეს, სანტანდერელებს კი მცველი კორომინასი.

და „ბარსელონა". კატალონიელებს სევილიაში თამაში არ წაუვიდათ. უფრო სწორად, პირველ ტაიმში ბურთს მეტხანს აკონტროლებდნენ, მომენტს კი ვერ ქმნიდნენ, ხოლო შესვენების შემდეგ, ბურთის ფლობაც ნაკლებად გამოსდიოდათ. სამაგიეროდ, „სევილიამ" მეორე ტაიმში ტემპს უმატა და ორიოდეჯერ სახიფათოდაც დაემუქრა ვიქტორ ვალდესის კარს. საბოლოოდ, ფრე, რომელმაც „ბარსელონა" მეშვიდე ადგილზე ასწია. საუეფასთასო პოზიციამდე კი ერთი ადგილი და ერთი ქულა რჩება.

**გიორგი დარჯანია**


REUTERS პალმა დე მალიორკიდან

მალიორკა — სოსიედადი. ბასკთა სერბმა დარკო კოვაჩევიჩმა მეტოქეც დასცა და გოლიც გაიტანა

## სეგუნდადივიზიონი XXXV ტური

### ხერესი 4:1 ოვიედო

1:0 ზარატე (33), 2:0 ჩანიტო (66), 3:0 პინედა (73პ), 4:0 მენა (79), 4:1 იდიაკესი (90პ)

### ალბასეტე 1:0 ტენერიფე

1:0 ხანდრო (68პ)

### სპორტინგი 1:3 კომპოსტელა

1:0 ბორეგერო (28), 1:1 კორედოირა (37), 1:2 მაიკელი (64), 1:3 ხეკეიროსი (87)

### ლას პალმასი 0:1 კორდობა

0:1 მონტენეგრო (29)

### ლეგანესი 1:0 ფეროლი

1:0 კალანდრია (30)

### ნუმანსია 2:2 სარაგოსა

0:1 გალეტი (1), 1:1 ფაგიანი (24პ), 1:2 ესპადასი (40), 2:2 მიგელ პერესი (69)

### ბადახოსი 4:3 ალმერია

0:1 ფრანსისკო (42), 1:1 ზე ტო (50), 2:1 ლეანდრო (57), 2:2 ფრანსისკო (61), 3:2 მანტეჩონი (63), 3:3 ლუნა (78), 4:3 ლუკას გატი (90)

### ტერასა 1:0 ეიბარი

1:0 ექტორი (9)

### ელჩე 1:1 ხეტაფე

1:0 ნინიო (32), 1:1 ვივარ დორადო (57)

### სალამანკა 1:1 ლევანტე

0:1 ლიმონესი (29), 1:1 კაკია (81)

### პოლი ეხიდო 0:1 მურსია

0:1 ტიტო (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურსია | 35 | 19 | 9 | 7 | 45:17 | 66 |
| ალბასეტე | 35 | 16 | 17 | 2 | 45:22 | 65 |
| სარაგოსა | 35 | 18 | 9 | 8 | 43:30 | 63 |
| ლევანტე | 35 | 14 | 16 | 5 | 50:33 | 58 |
| ხერესი | 35 | 15 | 12 | 8 | 43:35 | 57 |
| ლას პალმასი | 35 | 12 | 14 | 9 | 44:37 | 50 |
| ხეტაფე | 35 | 11 | 12 | 12 | 45:44 | 45 |
| სპორტინგი | 35 | 10 | 15 | 10 | 36:35 | 45 |
| ეხიდო | 35 | 11 | 12 | 12 | 31:35 | 45 |
| ტენერიფე | 35 | 9 | 17 | 9 | 42:34 | 44 |
| კომპოსტელა | 35 | 11 | 11 | 13 | 41:44 | 44 |
| სალამანკა | 35 | 9 | 16 | 10 | 27:25 | 43 |
| ელჩე | 35 | 10 | 12 | 13 | 39:36 | 42 |
| ეიბარი | 35 | 9 | 15 | 11 | 27:32 | 42 |
| ტერასა | 35 | 9 | 15 | 11 | 33:41 | 42 |
| ნუმანსია | 35 | 9 | 14 | 12 | 38:44 | 41 |
| კორდობა | 35 | 9 | 13 | 13 | 29:29 | 40 |
| ლეგანესი | 35 | 8 | 15 | 12 | 37:45 | 39 |
| ალმერია | 35 | 9 | 12 | 14 | 41:56 | 39 |
| ფეროლი | 35 | 8 | 11 | 16 | 33:50 | 35 |
| ბადახოსი | 35 | 9 | 7 | 19 | 26:53 | 34 |
| ოვიედო | 35 | 7 | 12 | 16 | 33:51 | 33 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 33 | 20 | 6 | 7 | 59:36 | 23 | 66 | 16 | 11 | 3 | 2 | 35:13 | 22 | 36 | 17 | 9 | 3 | 5 | 24:23 | 1 | 30 |
| 2 | სოსიედადი | 33 | 19 | 9 | 5 | 62:41 | 21 | 66 | 16 | 11 | 5 | 0 | 36:17 | 19 | 38 | 17 | 8 | 4 | 5 | 26:24 | 2 | 28 |
| 3 | რეალი | 33 | 18 | 11 | 4 | 71:38 | 33 | 65 | 16 | 11 | 4 | 1 | 43:19 | 24 | 37 | 17 | 7 | 7 | 3 | 28:19 | 9 | 28 |
| 4 | სელტა | 33 | 15 | 9 | 9 | 38:26 | 12 | 54 | 17 | 8 | 6 | 3 | 23:13 | 10 | 30 | 16 | 7 | 3 | 6 | 15:13 | 2 | 24 |
| 5 | ვალენსია | 33 | 15 | 8 | 10 | 48:28 | 20 | 53 | 17 | 10 | 3 | 4 | 28:10 | 18 | 33 | 16 | 5 | 5 | 6 | 20:18 | 2 | 20 |
| 6 | ბილბაო | 33 | 12 | 9 | 12 | 52:52 | 0 | 45 | 17 | 9 | 3 | 5 | 25:17 | 8 | 30 | 16 | 3 | 6 | 7 | 27:35 | -8 | 15 |
| 7 | ბარსელონა | 33 | 11 | 11 | 11 | 52:42 | 10 | 44 | 16 | 8 | 5 | 3 | 38:21 | 17 | 29 | 17 | 3 | 6 | 8 | 14:21 | -7 | 15 |
| 8 | ბეტისი | 33 | 11 | 11 | 11 | 43:45 | -2 | 44 | 17 | 8 | 5 | 4 | 24:16 | 8 | 29 | 16 | 3 | 6 | 7 | 19:29 | -10 | 15 |
| 9 | მალიორკა | 33 | 12 | 8 | 13 | 43:50 | -7 | 44 | 16 | 6 | 4 | 6 | 22:29 | -7 | 22 | 17 | 6 | 4 | 7 | 21:21 | 0 | 22 |
| 10 | მალაგა | 33 | 10 | 13 | 10 | 39:37 | 2 | 43 | 17 | 7 | 7 | 3 | 26:17 | 9 | 28 | 16 | 3 | 6 | 7 | 13:20 | -7 | 15 |
| 11 | სევილია | 33 | 11 | 10 | 12 | 29:29 | 0 | 43 | 16 | 7 | 6 | 3 | 20:13 | 7 | 27 | 17 | 4 | 4 | 9 | 9:16 | -7 | 16 |
| 12 | ატლეტიკო | 33 | 10 | 11 | 12 | 44:44 | 0 | 41 | 17 | 7 | 5 | 5 | 25:19 | 6 | 26 | 16 | 3 | 6 | 7 | 19:25 | -6 | 15 |
| 13 | რასინგი | 33 | 12 | 5 | 16 | 44:51 | -7 | 41 | 16 | 8 | 2 | 6 | 22:15 | 7 | 26 | 17 | 4 | 3 | 10 | 22:36 | -14 | 15 |
| 14 | ვალიადოლიდი | 33 | 11 | 7 | 15 | 31:34 | -3 | 40 | 16 | 8 | 3 | 5 | 20:14 | 6 | 27 | 17 | 3 | 4 | 10 | 11:20 | -9 | 13 |
| 15 | ვილიარეალი | 33 | 10 | 10 | 13 | 32:42 | -10 | 40 | 16 | 7 | 4 | 5 | 17:16 | 1 | 25 | 17 | 3 | 6 | 8 | 15:26 | -11 | 15 |
| 16 | ესპანიოლი | 33 | 9 | 11 | 13 | 39:43 | -4 | 38 | 17 | 7 | 5 | 5 | 25:20 | 5 | 26 | 16 | 2 | 6 | 8 | 14:23 | -9 | 12 |
| 17 | ოსასუნა | 33 | 8 | 10 | 15 | 29:43 | -14 | 34 | 17 | 6 | 3 | 8 | 16:21 | -5 | 21 | 16 | 2 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 13 |
| 18 | უელვა | 33 | 8 | 10 | 15 | 33:55 | -22 | 34 | 17 | 5 | 7 | 5 | 22:20 | 2 | 22 | 16 | 3 | 3 | 10 | 11:35 | -24 | 12 |
| 19 | ალავესი | 33 | 8 | 10 | 15 | 32:55 | -23 | 34 | 16 | 5 | 7 | 4 | 15:14 | 1 | 22 | 17 | 3 | 3 | 11 | 17:41 | -24 | 12 |
| 20 | რაიო | 33 | 7 | 7 | 19 | 27:56 | -29 | 28 | 17 | 4 | 6 | 7 | 17:24 | -7 | 18 | 16 | 3 | 1 | 12 | 10:32 | -22 | 10 |

*თანაბარქულიანი გუნდებს შორის უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის მქონეს*

### XXXIV ტური

18 მაისი

ოსასუნა — ბეტისი
ვალიადოლიდი — ესპანიოლი
ალავესი — ბილბაო
რასინგი — ატლეტიკო
ვილიარეალი — სელტა
დეპორტივო — ვალენსია
რეალი — მალაგა
სოსიედადი — უელვა
ბარსელონა — მალიორკა
სევილია — რაიო ვალეკანო

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 27 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 19 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 18 |
| რონალდო (რეალი) | 17 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 14 |
| პანდიანი (მალიორკა) | 13 |
| ფერნანდო (ბეტისი) | 13 |

# წვიმის გუნდი

## სკუდეტო ნაცნობ გარემოში დარჩა




REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — პერუჯა. მარკო დი ვაიოს რომც არ გაეტანა და ტურინელებს წაეგოთ, სკუდეტოს მაინც მოიგებდნენ

## იტალია

### სერია A. XXXII ტური

#### ბრეშა 1:0 მილანი

1:0 აპია (84)

ბრეშა: სერენი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, ბილიკა, ა. ფილიპინი, გვარდიოლა, აპია, სერიჩი, რ. ბაჯო, ტონი (ტარე 46)

მწვრთნელი: კარლო მაცონე

მილანი: დიდა, შიმიჩი, ლაურსენი, როკე ჟუნიორი, კალაძე (მალდინი 46), ბროკი, ამბროზინი, რედონდო (პირლო 67), სერჟინიო (შევჩენკო 67), რივალდო, ტომასონი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: როკე ჟუნიორი, ტარე

მსაჯი: კოლინა

20 000 მაყურებელი

#### იუვენტუსი 2:2 პერუჯა

1:0 ტრეზეგე (25პ), 1:1 მიკოლი (36), 2:1 დი ვაიო (46), 2:2 გროსო (90)

იუვენტუსი: ბუფონი (კიმენტი 80), ბირინდელი (მონტერო 38), ფერარა, იულიანო, პესოტო, კამორანეზი, ტაკინარდი, კონტე, დავიდსი, ტრეზეგე (ნედვედი 56), დი ვაიო

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

პერუჯა: კალაჩი, სოლიანო, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ბლაზი, ობოდო (ლ. პალიუკა 51), გროსო, მიკოლი (ბერეტონი 62), ვრიზასი (კროჩეტი 65)

მწვრთნელი: სერსე კოზმი

გაფრთხილება: ობოდო, ბლაზი, გროსო, ფერარა

მსაჯი: ბერტინი

40 000 მაყურებელი

#### ინტერი 1:1 პარმა

1:0 კალონი (36), 1:1 მუტუ (63)

ინტერი: ტოლდო, ვივასი, გამარა, კორდობა, პასკუალე, ს. კონსეისაუ (მატერაცი 72), კ. ძანეტი, დალმა, გულიელმინპიეტრო (ხ. ძანეტი 46), კალონი, მარტინსი (კრესპო 79)

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

პარმა: ფრეი, ბონერა, პ. კანავარო, მ. ფერარი, ჟუნიორი, ნაკატა, მატეო ბრიგი (ლამუში 68), ბარონე, ე. ფილიპინი, ადრიანო, მუტუ (ჯილარდინო 61)

მწვრთნელი: კლაუდიო პრანდელი

გაფრთხილება: კორდობა, გამარა, კ. ძანეტი, კანავარო, ფილიპინი, ბონერა

მსაჯი: აიროლდი

30 000 მაყურებელი

#### ბოლონია 0:2 ლაციო

0:1 ინძაგი (45პ), 0:2 ფავალი (59)

ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო, პარამატი, მ. კასტელინი, ვანოლი, ნერვო (ფრარა 14), ოლივე, კ. ამორუზო, ბელუჩი (მეგნი 76), სინიორი, ლოკატელი (დელა როკა 62)

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი, კასტრომანი (ჯანიკედა 87), ლივერანი, დ. სტანკოვიჩი, სეზარი (სიმეონე 73), კ. ლოპესი, ს. ინძაგი (კორადი 62)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ბელუჩი, სტანკოვიჩი

მსაჯი: პაპარესტა

15 000 მაყურებელი

#### კომო 2:4 კიევო

0:1 ფრანჩესკინი (10), 0:2 ლუსიანო (20), 0:3 ფრანჩესკინი (41), 0:4 ბიელანოვიჩი (48), 1:4 ამორუზო (52), 2:4 კაჩა (73)

კომო: ბრუნერი, გრეგორი, ტომაში (გუცო 73), სტელინი, ტარანტინო, კოე, კარბონე (ანაკლერიო 67), ალეგრეტი, მუსიჩი, კაჩა, ნ. ამორუზო (პეკია 57)

მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი

კიევო: ამბროზიო, ფ. მორო, ლეგროტალიე, ლორენცი, ს. ლანა, ლუსიანო, პეროტა (დ. ანდერსონი 89), კორინი, დ. ფრანჩესკინი, ბიელანოვიჩი (ბირმოფი 59), პელისიერი (დე ფრანჩესკი 73)

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

გაფრთხილება: ლეგროტალიე

მსაჯი: როდომონტი

4 000 მაყურებელი

#### რომა 3:1 ტორინო

1:0 კასანო (32), 2:0 დე როსი (55), 3:0 კასანო (62), 3:1 ფრეცა (78)

რომა: პელიცოლი (ძოტი 67), ძებინა, ვ. სამუელი, დელასი, კანდელა, ტომაზი, დე როსი (სარტორი 64), ემერსონი (აკვილანი 90), ლიმა, გიგუ, ა. კასანო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ტორინო: სორენტინო, დელი კარი, ფატორი, გალანტე, კონტიკიო, დე აშენტისი, ვერგასოლა (სკარკილი 64), დონატი, პ. კასტელინი (ბალძარეტი 64), კ. ლუკარელი, ფერანტე (ფრეცა 75)

მწვრთნელი: ჯაკომო ფერი

გაფრთხილება: კასანო, ფატორი, ფრეცა

მსაჯი: პიერი

35 000 მაყურებელი

#### უდინეზე 2:1 მოდენა

0:1 კამარა (39), 1:1 პიზარო (43პ), 2:1 მუცი (62)

უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, თ. მანფრედინი, ჯემიტი, პინცი, დ. პიზარო, პიერი (მუცი 43), იანკულოვსკი, იორგენსენი (როსიტო 73), იაკინტა (იანკერი 84)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

მოდენა: ბალოტა, პავანი, ჩევოლი, მორეტი, პონცო (სკული 73), მარასკო, მილანეტო, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი (მაური 60), დ. კამარა (კამპედელი 80), ვინიაროლი

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

გაფრთხილება: მანფრედიი, ვინიაროლი, მარასკო, მორეტი, ჩევოლი, მაური, მილანეტო, ჩევოლი

გაძევება: ჩევოლი (89)

მსაჯი: როზეტი

15 000 მაყურებელი

#### ემპოლი 0:0 ატალანტა

ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, პრატალი, ბუშე, ჯამპიერეტი, გრელა, როკი, კაპელინი, დი ნატალე, ტავანო

მწვრთნელი: სილვიო ბალდინი

ატალანტა: ტაიბი, ფოლიო (ბელინი 79), სივილია, სალა, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო, დონი, ბიანკი (გაუტიერი 62), ინაჩიო პია (ვუგრინეცი 88)

მწვრთნელი: ჯანკარლო ფინარდი

გაფრთხილება: დაბო, ფოლიო

მსაჯი: ტრენტალანჯე

11 000 მაყურებელი

#### პიაჩენცა 2:2 რეჯინა

0:1 დი მიკელე (67), 1:1, 2:1 უბნერი (72, 75), 2:2 მოცარტი (77)

პიაჩენცა: გუარდალბენი, კრისტანტე (ძერბინი 46), კამპანარო, მანგონე, ტოსტო, დი ფრანჩესკო, მარესკა, ბაიოკო, მარკიონი (ფერარეზე 57), უბნერი, დე ჩეზარე (პატრასკუ 69)

მწვრთნელი: ლუიჯი კანი

რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, ვარგასი (მორაბიტო 73), ი. ფრანჩესკინი, დიანა, პარედესი, მოცარტი, ლეონი (რასტელი 84), ფალზინი, ბონაცოლი (ბოგდანი 80), დი მიკელე

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

გაფრთხილება: ბონაცოლი, ბელარდი, კრისტანტე

მსაჯი: ტრეფოლონი

6 500 მაყურებელი

**ბრავო „პერუჯა"!** და კიდევ, „იუვენტუსი" ჩემპიონია! ტურინში ძლიერ იწვიმა, არ გადაუღია. როგორც ჩანს, ამ ორი გუნდის თამაში წვიმას ძალიან უყვარს, ყოველთვის ესწრება, მითუფრო, თუ მატჩი სეზონის ბოლოს ტარდება და გადამწყვეტია. ხომ გახსოვთ, 2000 წლის მაისში, უკანასკნელ ტურში, პერუჯაში როგორ წვიმდა — კოლინამ კინაღამ გადადო მეორე ტაიმი. იმ დღეს „პერუჯამ" „ბებერ ქალბატონს" სკუდეტო დააკარგვინა და არა იმიტომ, რომ თვითონ სჭირდებოდა ის ქულა, არამედ იმიტომ, რომ ვაჟკაცობის ამბავია, თამაში თამაში უნდა იყოს.

შაბათს უკვე ტურინში იწვიმა და „პერუჯამ" ისევ დაამტკიცა, რომ თამაში თამაშია. მიცემა, მოცემა და ეგეთები ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის დაგვითმიაო — „იუვემ" თუ სკუდეტო მოიგო, „ინტერმა" „შავ-ლურჯ" თავს დააბრალოს შინ „პარმასთან" 1:1 რომ ითამაშა, თორემ სერსე კოზმიმ და მისმა ბიჭებმა „დელე ალპიზე" 2:2 დაასრულეს შეხვედრა.

უნდა აღინიშნოს, რომ „იუვენტუსმა" „პერუჯას" წინააღმდეგ ეგრეთ წოდებული ექსპერიმენტული შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე. არ იყვნენ პაველ ნედვედი და ალესანდრო დელ პიერო, რომელთა დასვენების მიზეზი სრულიად ნათელია — ოთხშაბათს ამავე „დელე ალპიზე" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრაა „რეალის" წინააღმდეგ. ნედვედი მოედანზე მეორე ტაიმის მე-11 წუთზე შევიდა და ისიც დავიდ ტრეზეგეს მაგივრად — მარჩელო ლიპიმ ახლა ფრანგი ფორვარდი დაასვენა.

ანგარიში მასპინძლებმა პენალტით გახსნეს — მარკო დი ვაიოს საჯარიმოში მარკო დი ლორეტომ ჰკრა ხელი, რისთვისაც მსაჯმა ბერტინიმ თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა, ხოლო ტრეზეგემ ზუსტად დაარტყა, თუმცა 11 წუთის შემდეგ ფაბრიციო მიკოლიმ, რომელიც „ბებერი ქალბატონის" საკუთრებაა და მომავალი სეზონიდან „დელე ალპიზე" ითამაშებს, გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ დი ვაიომ ჩინებული გარღვევით, გზიდან ორი მცველის ჩამოცილებით და დარტყმით ისევ დააწინაურა თავისიანები, მაგრამ მსაჯის წამატებულ დროში, როდესაც „იუვე" საზეიმოდ ემზადებოდა, გროსომ „დელე ალპი" დაადუმა... რამდენიმე წუთით, სანამ სტადიონის დინამიკებიდან მოისმებოდა ცნობა, რომ „სან სიროზე" „ინტერმა" „პარმას" ვერ მოუგო.

